# საარბიელო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 ოქტომბერი 2005 №238 (2561) ფასი 50 თეთრი




დინამო — სიონი 3:0. გიორგი მეგრელაძის (მარცხნივ) მეტოქეები... 

# ლიდერების 0:7
## ლოკომოტივი თავში ჩაება

ხშირად ხდება, პირველ-მეორე ადგილებზე მყოფმა გუნდებმა ჯამში 0:7 წააგონ? თითქოს სოლიდარობა გამოაცხადესო, შაბათს „ბორჯომი" განადგურდა მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან", გუშინ კი ლიდერი ბოლნისის „სიონი" შერცხვა თბილისის „დინამოსთან". რა უნდა ითქვას, როგორც ჩანს, კახა ცხადაძის გუნდი ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან, უკვე გამოსული თუ არაა...

ამასობაში კი თქვენ წინაშეა ახალი თამადა: „ლოკომოტივმა" ისევ მოიგო, აუღელვებლად მოუთავა საქმე „თბილისს" და მესამე ადგილიდან პირველზე გადახტა.

ტურის სხვა თამაშებიდან კი ასევე გამოსარჩევი იყო „ამერის" მიერ „კოლხეთის" სტუმრად წაქცევა, რაც აქამდე ფოთში ვერავის მოეხერხებინა. ხოლო იმერული დერბი მოულოდნელად მშვიდობიანად დასრულდა: „მშვიდობიანობაში" ანგარიშს ვგულისხმობთ — „ტორპედოსთან" ხომ „ზესტაფონისგან" ყველა მოგებას ელოდა.



ვიტ ჯორჯია — ბორჯომი 4:0. იური გაბისკირიას (მარცხნივ) გუნდი ვიტელებთან შერცხვა



რუსული ნებისყოფა. ფიზიკა და ფრანგული ჭკუა

13

# ფერარიმ ფორმულა დაკარგა



AFP შანხაიდან

გუშინ შანხაიში დასრულდა „ფერარის" ბოლო ხუთწლიანი ფორმულა — ზედიზედ ხუთი ჩემპიონობის შემდეგ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს გამოეთხოვა მიხაელ შუმახერი, გვირგვინი კი 24 წლის ფერნანდო ალონსომ დაიდგა.

„სამეფო რბოლების" ზემარათონული, 19 დიდპრიზიანი ჩემპიონატი დასრულდა ისე, როგორც რვა თვის წინ დაიწყო — „რენოს" აბსოლუტური უპირატესობით.

ერთ სეზონში ორივე, პილოტ-გუნდური პირველობის მოპოვება არცთუ იოლი ამბავია და „რენო" გახდა მეოთხე დღევანდელი სუპერგიგანტების — „ფერარის", „მაკლარენისა" და „უილიამსის" შემდეგ, რომელმაც ეს შეძლო.



გიო ახვლედიანის

სვეტი

# მგრამ სად არი, უფროსო

ერთი თვალსაჩინო ამბავი უნდა მოგითხროთ მოკლედ.

ეს საინტერესოა, ვინაიდან ფეხბურთის უფროს-უმცროსობას ეხება.

ორიოდ დღის წინ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თქვა, უეინ რუნი რომ მოედანზე ცუდად იქცევა, მის მენეჯერებს მეტი უნდა მოვთხოვოთ, ბიჭს მეც მივიწვევ ციურიხში და აღმზრდელობით სამუშაოს ჩავუტარებო. ამას ისიც დაამატა, წლეულს „ვესტ ბრომვიჩის" უფროსობას შევხვდი და ასე მითხრეს, დიდ გუნდებთან წამყვან ფეხბურთელებს ვასვენებთ, მაინც წაგებულ თამაშში რატომ მოვქანცოთო.

ამით თითქოს მდიდარ კლუბებს შეუტია, ხალხს ნამდვილ ფეხბურთსართმევენო.

ახლა, რა თქმა უნდა, საინტერესოა პასუხები:

1. „ვესტ ბრომმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წლეულს კლუბის არცერთ მესვეურს ფიფას თავკაცი თვალითაც არ უნახავს.

2. სერ ალექს ფერგიუსონმა კი დასძახა: იმის მაგივრად, რომ მართლა დიდი საქმეები აკეთონ, ფიფაში იმას ფიქრობენ, როგორ იქცევა „მანჩესტერში" 19 წლის ბიჭი. ბლატერი გავლენიანი კაცია და მას ხალხი უსმენს. ამიტომ უმჯობესია, და ა.შ.

რატომ ვყვები ამ ამბავს და იმიტომ, რომ სადაც კაცი მართლა თავისუფალია, იქ ჭკუის სწავლებაც და ტყუილის თქმაც ცოტა არ იყოს ძნელია.

გინდა, ფიფას უფროსი იყავი და გინდა, კიდევ მეტი, ზედმეტს არავინ შეგარჩენს.

ბლატერს შეეძლო ეთქვა ის, რაც თქვა, მაგრამ პასუხმაც არ დააყოვნა, კლუბის საქმეში ნუ ერევიო. ორივე პასუხი ასეთი იყო.

ასეა ხოლმე ისეთ მხარეში, სადაც უფროსი, უბრალოდ, უფროსია და არა მბრძანებელი.

ჩვენს ამბებს აღარ მოვყვები, ისედაც ვიცით, რომ ვინც კი რაღაცა პატარა მაგიდას განაგებს, ლამის მეფე ერეკლედ წარმოიდგენს ხოლმე თავს და მერე იმაზე უნდა ილოცო. არ ილოცებ და ცუდი კაცი ხარ. თანაც ფრთხილობ, რამე არ მომწიოს, მაინც ჩემი დარგის უფროსიაო. როგორ ფიქრობთ, ალექს ფერგიუსონმა ის იფიქრა, ხმა რომ ამოვიღო, ბლატერმა რამე არ მომწიოსო?

არა, მან იფიქრა, ამას ვინლა ჰკითხავს, წავიდეს თავისი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაატაროსო.

ჰოდა, ასე ფიქრი ჯობია.

ფეხბურთიც უკეთესი გამოვა და სხვა რამეებიც.

თორემ უფროსი, უფროსიო და ეგება ხისულელი ამბობს?

ან კიდევ მეტი — ტყუილს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

 გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა | პირველი წრე | 9 ტური



გია მეგრელაძის ულამაზესი გოლი ბოლნისელთა კარში

# დინამო, ამო, ამო!

თბილისი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული. 2 500 (ტევადობა 70 900)

**დინამო 3:0 სიონი**

1:0 იაშვილი (30), 2:0 მეგრელაძე (36), 3:0 მელქაძე (84)

| დინამო | სიონი |
| --- | --- |
| **დინამო:** გრიშიკაშვილი, გოგაური, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი (კ. მახარაძე 36), აკობია, ს. იაშვილი, მეგრელაძე (ლ. მელქაძე 80), მ. ბობოხიძე (გ. თომაშვილი 88) | **სიონი:** ბობლიაშვილი, ოქრომჭედლიძე, დ. სვანიძე, ჩიკვილაძე, რაქვიაშვილი, გ. დოლიძე, ლ. ხმალაძე, კვიტაიშვილი (ა. ალავიძე 41), დ. ბოლქვაძე, მიკუჩაძე (ქორდავა 71), ჟ. დვალი (კორსანტია 57) |
| *სათადარიგონი:* სტურუა; ორბელაძე, ბ. ძელიძე, დვალიშვილი | *სათადარიგონი:* გაგაშვილი; ლ. ჩაჩუა, ლ. მერებაშვილი, ავალიანი |
| **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე | **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (5), ქემოკლიძე (11), დოლიძე (25), ოქრომჭედლიძე (41), მახარაძე (42), ჩიკვილაძე (83)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მუხიგულაშვილი, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია

დავით თავართქილაძე

**როგორც იქნა**: თბილისის „დინამომ" შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ბოლნისის „სიონმა" შეიდმატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა.

„სიონს" გულშემატკივრები ბლომად ჩამოჰყვნენ თბილისში, მაგრამ სიონელებმა მიმდინარე სეზონში უცუდესი მატჩი ითამაშეს. ეს ალბათ კანონზომიერიცაა — „სიონი" ისე ვერ მოემზადა მეჩვიდმეტე ეროვნულისთვის, რომ სტაბილურობა შეინარჩუნოს. გუშინ „სიონი" იმ გუნდს არ ჰგავდა, მეცხრე ტურამდე ჩემპიონატს რომ ლიდერობდა.

კახა ცხადაძემ ახლებური ტაქტიკით ათამაშა „დინამო", რაც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც აღინიშნა. „დინამოს" საქართველოში გამორჩეული ფორვარდები ჰყავს, რაც გუშინ ცხადაძემ ეფექტურად გამოიყენა. „დინამო" ბურთის კოლექტიურ ართმევასაც კარგად ასრულებდა და აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე.

„დინამომ" სამი თავდამსხმელით ითამაშა, თუმც მიხეილ ბობოხიძე სანდრო იაშვილის და გია მეგრელაძის ოდნავ უკან იყო გამწესებული.

ნერვიული პირველი წუთების შემდეგ ტაიმის შუაწელიდან ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — „დინამო" მძლავრობდა და პირველი საგოლე მომენტიც შექმნა — იაშვილის ჩინებული პასით ბობოხიძე მინდია ბობლიაშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ არაზუსტად გადაუგდო ბურთი თავზე.

კარგად წაუვიდა თამაში იაშვილს და „სიონის" დაცვასაც შეცდომები მოუმრავლდა. ლაშა ნოზაძის ნაკუთხურალ ბურთზე იაშვილის თავური ბობლიაშვილმა კი გააუვნებლა, მაგრამ როცა ნოზაძემ ფლანგური ჯარიმა ჩააწოდა, იაშვილის თავური საგოლე გამოდგა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გოლში წილი დაიდო ბობოხიძემაც, ვინც ბობლიაშვილს ხელი შეუშალა ორიენტაციაში.

ძალიან ლამაზი და დინამიური იყო დინამოელთა მეორე გოლი და საგოლე კომბინაცია: იაშვილ-ბობოხიძე-ალადაშვილის დიდი საჯარიმოდან თხედი მეგრელაძის მაკრატელათი დასრულდა.

ცოტაც და, „დინამოს" მესამეც უნდა გაეტანა, მაგრამ იაშვილმა ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

მეორე ტაიმისთვის უკვე ძალიან მკაფიოდ ჩანდა, რომ „სიონი" გუშინ არაფრის მაქნისი იყო და აღარც „დინამო" უტევდა მეტოქის გამეტებით. მიუხედავად ამისა, დინამოელებმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს — ორჯერ იაშვილს შეეძლო გატანა, თითოჯერ ბობოხიძეს და მეგრელაძეს.

...ლევან მელქაძე წინა სეზონში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა, მიმდინარე სეზონში კი აქამდე უგოლოდ იყო და ნავსი გუშინ გატეხა — ნოზაძის კუთხურს მოხდენილი თავური მიაყოლა. ეს მნიშვნელოვანი გოლი უნდა იყოს „დინამოსთვის", რადგან ბობოხიძე-იაშვილ-მეგრელაძის ტრიოს თუ კარგ ფორმაში და გოლის იშტაზე მოსული მელქაძეც დაემატება, საქართველოს 12-გზის ჩემპიონთან გამკლავება უძნელესი საქმე იქნება.

## პრესკონფერენცია

*ხვიჩა ქასრაშვილი:* „დინამომ" დამსახურებულად გაიმარჯვა და უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო. „დინამო" მართლაც ძლიერი გუნდია.

*კახა ცხადაძე:* ჩემმა ფეხბურთელებმა დავალება კარგად შეასრულეს და დიდი უპირატესობაც მოვიპოვეთ, თუმცა საგოლე მომენტების რეალიზაციაში კვლავ მოვკოჭლებთ. „დინამომ" თავისი იერსახე დაიბრუნა, მინი-კრიზისი დაძლეულია. თავი არ დაუზოგავს შეცვლაზე შესულ მელქაძეს და გოლიც გაიტანა. ჩვენ შეკრული გუნდი ვართ.




# ზესტაფონიც ვირტუალურია

„**ზესტაფონმა**" საკუთარი ვებ-გვერდი შექმნა.

შეხვალ www.fczestafoni.ge-ზე და იმერულ კლუბზე ინფორმაციებს მიიღებ. ვებგვერდს, ცხადია, ფოტოგალერეის, ფორუმის და კონტაქტის სექციები აქვს — კლუბის წარდგენა, მოთამაშეები, სტადიონი და ამდაგვარი კი თავისთავად.

ვებგვერდი საკმაოდ ილუსტრირებულია და კარგი იქნება, თუ მაქსიმალურად ოპერატიული იქნება. საიტი ჯერჯერობით მხოლოდ ქართულენოვანია, თუმცა, როგორც მისმა შემქმნელმა, „ზესტაფონის" პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, მოკლე ხანში ინგლისური ვერსიაც გაჩნდება.

ლუკა თალაკვაძე

# გია გეგუჩაძე და დინამო მორიგდნენ



**წინა** „სარბიელში" გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოს" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კლუბს სასამართლოში უჩივლა, გუნდიდან გაშვებულს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა მაინც მეკუთვნისო.

გუშინ კი „დინამომ" ოფიციალური ინფორმაცია მოგვაწოდა — გეგუჩაძესა და კლუბს შორის ფინანსური დავა დასრულებულია.

ნათელია, რომ მხარეები მორიგდნენ და გეგუჩაძემ გარკვეული თანხა მიიღო. რაც შეეხება ამ დავის დეტალებს, ისინი ოფიციალურად არცერთ მხარეს არ გამოუმზეურებია. გეგუჩაძე ამ საქმესთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

დავით თავართქილაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ყაზბეგი გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 9 ტური

# ვიტ ჯორჯია ქუნთეზს საჩემპიონოდ ათამაშებს





ოთარ მარცვალაძემ (მარცხნივ) და მისმა თანაგუნდელებმა ბორჯომელთა მეკარეს ზურაბ მამალაძეს ოთხჯერ გაუტანეს

მცხეთა. 15 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 4:0 ბორჯომი

1:0 ფეიქრიშვილი (15), 2:0 კობიაშვილი (35), 3:0 მარცვალაძე (85), 4:0 მანწკავა (89)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაშვილი, კობიაშვილი, იმედაშვილი, გველესიანი, ფეიქრიშვილი, დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი (გ. მელქაძე 85), მარცვალაძე, ნ. გელაშვილი (რაზმაძე 43), სახოკია (ლ. მანწკავა 67)
*სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ჯაფარიძე, ქუხილავა, ბერიაშვილი
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**ბორჯომი:** მამალაძე, ა. ბურნაძე, ლ. ძელიძე, მიქიაშვილი, მესხი, ქორიძე (რ. ჯიქია 74), ვ. გოჩაშვილი, გაბისკირია, ბაქრაძე (შ. ჯიქია 63), გეწაძე, აფციაური
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მაჭავარიანი, მემარნიშვილი, გოგიჩაიშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** გ. დათუნაიშვილი (3), მესხი (9), გელაშვილი (21), პ. დათუნაშვილი (31, 39), მარცვალაძე (50)

**გაძევება:** პ. დათუნაიშვილი (39), გეწაძე (69)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**დავით თავართქილაძე** მცხეთიდან

**კარგა** ხანია, ასეთი ღონიერი „ვიტ ჯორჯია" არ გვინახავს — ნესტორ მუმლაძის გუნდი ახლა ჩინებულ ფორმაშია და შლიგინ-შლიგინით მოუგო მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს.

ასეთ „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობისთვის ბრძოლა ნაღდად შეუძლია. ვიტელებმა სწრაფად, აგრესიულად ითამაშეს, 90 წუთი სულ მოძრაობდნენ და იბრძოდნენ, რითაც „ბორჯომი" უშანსოდ დატოვეს.

იყო გაწევ-გამოწევა მინდორზე და ტრიბუნაზეც, ორი გაძევებაც, თუმც მატჩის არბიტრი ლაშა სილაგავა ხანდახან თვალს ხუჭავდა და თავს იყრუებდა. ისიც გაუგებარია, „შე ჩემას" რატომ პატიობდა ფეხბურთელს...

კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ისიც, თუ რატომ დაუკეტეს ახალგაზრდული ნაკრების კარი დავით იმედაშვილს, პავლე დათუნაიშვილს და ოთარ მარცვალაძეს — ისინი ამ მომენტისთვის ერთი თავით აღემატებიან გაიოზ დარსაძისა და კობა ქორქიკაშვილის ზოგიერთ რჩეულს...

დაიწყო თუ არა მატჩი, ძვალთა მტვრევა და წვივსაფართა ჭახანი ატყდა. მასპინძლები „მიხრჩობასაც" კარგად აკეთებდნენ და შეტევასაც მარაოსავით შლიდნენ ხოლმე. ვიტელები მოედნის თითქმის ყოველ მონაკვეთში ემხობოდნენ მეტოქეს, უკეთეს ფიზიკურ მომზადებას ეფექტურად იყენებდნენ.

გოლი პირველი: გიორგი ფეიქრიშვილმა ოცდახუთიოდე მეტრიდან ჭკვიანტი აძგერა ბურთს და ზურაბ მამალაძის კარის ცხრიანში ააფართხალა.

გოლი მეორე: ნაკუთხურალი ბურთი ოთარ მარცვალაძემ მოიგდო და კარის გასწვრივ გაგზავნა, თენგიზ კობიაშვილი კი ფეხებს არ ენდო და მინდვრიდან ოდნავ აზიდული ბურთი ახლოდან თავით გადააგზავნა „ბორჯომის" კარის ბადეში.

„ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში კიდევ ორჯერ დაემუქრა „ბორჯომს": ზაზა სახოკიამ ოდნავ მახვილი კუთხიდან მამალაძეს ვერ აჯობა, 45-ე წუთზე კი იმავ მამალაძემ მარცვალაძის ოცდაოდ მეტრიდან გასროლილი მოიგერია.

პავლე დათუნაიშვილის გაძევებიდან „ბორჯომი" თითქმის ნახევარ საათს ფლობდა რიცხობრივ უპირატესობას, მაგრამ ვერაფერი გააწყო — რევაზ გეწაძის და იური გაბისკირიას შორეულ დარტყმებს გრიგოლ ბედიაშვილი იოლად უმკლავდებოდა, ერთხელ კი გიორგი ქორიძის თავური გაუცუდდა.

„ვიტ ჯორჯია" მხნედ აგრძელებდა თამაშს და, როცა ბორჯომელებს რევაზ გეწაძე გაუძევეს ლაინსმენ გურამ ჩიგოგიძის გინებისთვის, მასპინძლებმა კიდევ ორი გოლით გვემეს სტუმრები: მარცვალაძემ მკერდით ჩამოიღო ბურთი და ახლოდან გაიტანა, ლაშა მანწკავამ კი 16-17 მეტრიდან გაისროლა.

...მარცვალაძემ მართლაც თავდამსხმელივით ითამაშა, მართლაც თავს ესხმოდა და აწიოკებდა „ბორჯომის" დაცვას, მაგრამ დარსაძე-ქორქიკაშვილის სიაში ის ალბათ მაინც ვერ მოხვდება...

# გაყინული ჯიბე

თელავი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. გივი ჩოხელი. 3 000 (ტევადობა 5 000)

## კახეთი 3:0 დილა

1:0 კობაიძე (70), 2:0, 3:0 არუდაშვილი (88, 90)

**კახეთი:** გიგა იაშვილი, ა. კვირკველია, გ. ნადირაშვილი, ბედოიძე, კობაიძე, კუპრაშვილი (სოსელია 57), ბ. ბურნაძე, დ. ბურდული, ნ. დავითაშვილი (ამირანიძე 85), არუდაშვილი, სიხარულიძე (იმერლიშვილი 46)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; ლოლაძე, ტარუღაშვილი, ბერაშვილი
**მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი

**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, ქარქუზაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, რევაზიშვილი, კ. ხანიშვილი, ი. კობახიძე (ხვიჩია 69; ალ. ლაბაძე 80), ტლაშაძე (გ. ნადირაძე 64), მ. თავაძე, წუწუნავა, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* ციცაგი; გ. მასურაშვილი, მძინარიშვილი, ი. თომაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** რევაზიშვილი (45), ბურნაძე (68)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი; **დირექტორი:** დ. ბოკერია

**გიორგი ვაშაკიძე** თელავიდან

**თელავში** რომ ქომაგი მრავლად დადის სტადიონზე, ბევრჯერ თქმულა და რა გასაკვირია, თუ შაბათსაც ასე იყო. მით უფრო, „გივი ჩოხელს" გორის „დილა" სტუმრობდა, კახელებს კი უეჭველი მოგება სურდათ.

იცოცხლეთ, ნამატჩევს „კახეთმა" ერთგულ ქომაგთან ერთად გულიანად გაიხარა... არადა, 70-ე წუთამდე ვერაფრით იფიქრებდი, ასეთი ზოზინით „კახეთი" მისსავე დღეში მყოფ „დილას" 3:0 თუ გადაურბენდა.

ჩასტვინა მსაჯმა მალხაზ მაისურაძემ, მასპინძლებმა ბურთი ცენტრში გაათამაშეს და მათ პირველსავე შეტევას კინაღამ გოლი მოჰყვა — სიხარულიძე მარჯვენა ფლანგიდან შევარდა საჯარიმოში, მის ჩაწოდებულს ბესიკ ბურნაძე გამოეხმაურა, მცველს წამიერად დაასწრო და ჭვინტით სცადა გატანა, მაგრამ სტუმართა მეკარემ არ დაანება — თამაზ ილურიძემ ბურთი ხაზიდან გამოიტანა.

პირველ გოლამდე თამაში თვალსასეირო არ იყო-მეთქი, უკვე ვთქვი და აკი მეკარეები, გიგა იაშვილი და თამაზ ილურიძე თითქმის უსაქმოდ იყვნენ. ტრიბუნა მხოლოდ მაშინ ახმაურდა, როცა 45-ე წუთზე მსაჯმა გიორგი რევაზიშვილი სიმულაციისთვის გააფრთხილა — კახელებმა მაისურაძეს გადაწყვეტილება მოუწონეს.

მეორე ტაიმიც ულიმღამოდ დაიწყო და კარგა ხანს ასეც გაგრძელდა, 70-ე წუთზე კი ნიკა დავითაშვილმა ბურთი ჯარიმიდან ჩაჰკიდა, საჯარიმოში კი კარის წინ უმეთვალყურეო კობა კობაიძემ იყოჩაღა, ბურთს ფეხი მიჰკრა და 1:0.

79-ე წუთზე ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თუმც კი ძალიან გულსაკლავი რამ მოხდა: გორელი ხვიჩია, რომელიც 10 წუთის შესული იყო მოედანზე, დაშავდა, გუნდის ექიმიც, ცხადია, მინდორზე შევარდა და... სტუმრებმა „კახეთის" სათადარიგოთა სკამს გასძახეს საშველად, გასაყინი ხომ არ გაქვთო.

.85-ე წუთზე სტუმართა ფორვარდ კახა წუწუნავას შეეძლო გათანაბრება, მაგრამ დაახლოებით ოცდაოდ მეტრიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

სამ წუთში კი თამაშის ბედიც გადაწყდა — კახელთა ყოჩმა, ვასილ არუდაშვილმა მეორეც გაიტანა (ოდნავ რიკოშეტიც იყო), დამატებულ დროში კი ილურიძესთან პირისპირ დარჩა, მეკარეს იოლად გასცდა და ბურთიც მშვიდად შეაგორა ცარიელ კარში — 3:0.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 9 ტური

# ეს იყო ბრძოლა!

## ფაზისის წამალს პირველმა ამერმა მიაგნო

ფოთი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:1 ამერი

0:1 სევასტოპულო (88)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, კილასონია, შალამბერიძე, ქუტიძე, ფარულავა, სამსეიშვილი (წაბრია 28), ვართაგავა, მარგალიტაძე, ჯანაშია, კრასოვსკი, ქუთათელაძე.
სათადარიგონი: ლატარია, ცეკვაშვილი, ლოლუა, სახოკია, რაზმაძე, ჩიქობავა
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ამერი:** ნადირაშვილი, კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დობროვოლსკი (ბუალავა 56), დარსანია (კიდილაშვილი 80), სილაგავა (ტატანაშვილი, 67), კოშკაძე, სევასტოპულო, დავითაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, გარუჩავა, ჩიტიანი, ტატანაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ვართაგავა (23), მარგალიტაძე (37), დობროვოლსკი (7), ხვადაგიანი (66), ბუალავა (68)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

კოტე კეკელია

**ნამატჩევ** პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელებმა ყურადღება იმაზე გაამახვილეს, პირველიდან ბოლო წუთამდე ბრძოლა იყოო. სოსო ფილიამ ისიც დასძინა, საქართველოს ჩემპიონატში ასეთი ბრძოლები ხშირი არ არისო.

მწვრთნელებს უდავოდ ვეთანხმებით და ერთსაც დავამატებთ — მწირმომენტიანი მატჩი თვალსასეიროდ სწორედ უშელავათო ბრძოლამ აქცია.

აქამდე „კოლხეთი“ საშინაო მატჩებში დაუმარცხებელი გახლდათ, „ფაზისზე“ ჩატარებული ოთხივე მატჩი მოიგო და ოთხივეში მხოლოდ ერთ ფეხბურთელს, ზვიად ქუთათელაძეს გაეტანა გოლები. „ამერი“ კი ამ მატჩამდე მიჯრით ორი წაგებით მივიდა და შემადგენლობაც შესუსტებული ჰყავდა — ალექსანდრე კაიდარაშვილი დისკვალიფიცირებული იყო, ტრავმამოშუშებულ გიორგი დეკანოსიძეს კი ფორმის აღდგენა სჭირდებოდა.

მასპინძელთა ასპროცენტიანი საშინაო შედეგიანობა ვახსენეთ და, ამის გათვალისწინებით, სიმართლე გითხრათ, ერთმა გარემოებამ გაგვაკვირვა — სტადიონს თითქმის ცარიელი ეთქმოდა, „ფაზისისთვის“ ხუთასიოდე მაყურებელი ბევრი ნაღდად არ არის.

თავიდან, დაახლოებით ათი წუთი, თამაში მოედნის შუაგულში იყო. ფოთელებმა სტუმართა საჯარიმოში შეღწევა რომ ვერ მოახერხეს, რამდენჯერმე შორიდან დარტყმა სცადეს — კარის ჩარჩოში ერთხელაც ვერ მოახვედრეს.

მალე პირველი ნაღდი მომენტიც შეიქმნა: ამერელმა ალექსანდრე კოშკაძემ გაისროლა საჯარიმო მოედნის სიახლოვიდან და ხარიხას გაარტყა.

მასპინძლები ისევ შორიდან დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და საწყის ნახევარ საათში ასეთი ხუთი არაზუსტი დარტყმა დაუგროვდათ.

შუიდან რომ არაფერი გამოვიდა, ფოთელებმა რამდენჯერმე მარჯვენა ფლანგიდან სცადეს კარისკენ გაჭრა, ერთხელ მეტნაკლებად სახიფათოდაც, თუმცა, ნაღდი საგოლე მომენტი შექმნესო, ვერ ვიტყვით.

ამერელთა საპირველტაიმო იერიშებიდან კი, კოშკაძის ზემოთ ნახსენები ხარიხის გარდა, სევასტოპულო-დავითაშვილის გარღვევა იყო დასამახსოვრებელი, რომელიც საბოლოოდ მასპინძელთა მეკარე ბათიაშვილის გამარჯვებით დასრულდა.

საერთოდ ჩაკარგული იყო ფოთელი ბომბარდირი ქუთათელაძე, რომელსაც შესვენებამდეც და შესვენების მერეც არაფერი გამოსვლია, რაც ამერელ მცველებს უნდა „დავაბრალოთ“. ნამატჩევს „ამერის“ მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ რომ თქვა, „კოლხეთის“ წინა თამაშები კარგად გვქონდა შესწავლილიო, უპირველესად ალბათ ამას ნიშნავდა — ჩიხრაძემ ქუთათელაძის „წამალს“ მიაგნო.

მეორე ტაიმი ზამირ ჯანაშიას სახიფათო მომენტით დაიწყო. უმცროსი ჯანაშია მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და კარისთვის კარგად რომ დაემიზნებინა, მეკარეს ბურთის აღება, ვფიქრობთ, გაუჭირდებოდა. თუმცა თბილისელთა ახალგაზრდა მეკარეს მოგვიანებით მაინც მიეცა თავის გამოჩენის შანსი — ჯონი შალამბერიძის დარტყმულს მოხდენილი ნახტომი შეაგება.

დრო ნელ-ნელა ილეოდა, გიორგი ჩიხრაძემ დავითაშვილს და სევასტოპულოს მესამე ფორვარდი, დიმიტრი ტატანაშვილიც შეაშველა, მაგრამ მომენტის შექმნა აქეთაც ჭირდა და იქითაც. 79-ე წუთზე კი უნაღდესი მომენტი განიავდა: სულიკო დავითაშვილმა მცველიც მოატყუა, მეკარეც და კარიდან ორიოდ მეტრში დარჩენილს ბურთისთვის ფეხის წარტყმაღა სჭირდებოდა — „აბრეზამაც“ წაარტყა, მაგრამ სასურველზე სუსტად და მცველმაც ივაჟკაცა, ბურთს ზედ კარის ხაზზე მიუსწრო.

სხვათა შორის, ეს ლამის ერთადერთი ეპიზოდი იყო, დავითაშვილს იერიშის განხორციელების საშუალება რომ მიეცა — იქამდე თანამსაჯებმა „აბრეზას“ შვიდჯერ აუფრიალეს ალამი ოფსაიდის ნიშნად.

ასეთი მომენტის გაფუჭების მერე ძნელად წარმოსადგენი იყო, ფაზისელებს სტუმრები მსგავსადვე გაჰპარვოდათ, მაგრამ ფაქტია, სტუმრებს მეორე ასეთივე მომენტი შეექმნათ — 88-ე წუთზე დავით სევასტოპულომ ზუსტად ისეთი გოლი გაიტანა, როგორიც ცხრა წუთის წინ დავითაშვილს უნდა შევგდო. ზუსტად იმავე ადგილიდან სევასტოპულომ ღონივრად დაარტყა და ამ ბურთის მომგერიებელი აღარავინ იყო. ის კი დავძინოთ, რომ საგოლე პასი სევასტოპულოს დავითაშვილმა მისცა.



ბადრი კუთილაძის ფოტო

წამიც და, სულიკო დავითაშვილმა გოლი უნდა გაიტანოს, მაგრამ... ყველაფერი ისე არაა, როგორც გვგონია

თბილისი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 0:2 ლოკომოტივი

0:1 გ. ონიანი (3), 0:2 რ. ონიანი (19)

**თბილისი:** გ. ალავიძე, ლოლაძე (ფირანიშვილი 74), ხოხონიშვილი, მამნიაშვილი, ვ. კვარაცხელია, გიორგი იაშვილი, მიმინოშვილი, გ. ბერიძე (კოსტავა 39), ბარამიძე (შ. გოდერძიშვილი 56), ჩაგელიშვილი, გ. ფოფხაძე
სათადარიგონი: თევდორაძე, ნაჭიპერაძე, თოფურია
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ლოკომოტივი:** გ. ქანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი, სეთურიძე (ჩივაძე 76), სირაძე (დ. ფოფხაძე 64), რ. ონიანი, რამონი (ალავერდაშვილი 31), სირბილაძე, კახელიშვილი
სათადარიგონი: ჩალაძე, ფურთუხია, ვიფიანი, ბანოვი
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**გაფრთხილება:** სირაძე (45)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი; ზ. გაგნიძე (ორივე გორი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

# ონიანების ხუთიანები

ილია ნანობაშვილი

**ონიანების** ალლუმი — ასეც შეიძლება დავარქვათ ამ მატჩს, რადგან გამოცდილი როინიც და ახალგაზრდა გიორგიც საუკეთესოები იყვნენ, გოლებიც მათ გაიტანეს და უკვე მე-19 წუთისთვის „ოლიმპზე“ მოსულ მაყურებლებს დაძაბული თამაშის ნახვის იმედი გადაუწურეს: ცხადი გახდა, „თბილისი“ ორი ბურთის გამტანი აღარ იყო, თანაც იმ გუნდის კარში, რომელსაც გოლების გაშვება ძალიან არ უყვარს.

უკვე მე-3 წუთზე როინ ონიანის ნაკუთხურალი მისმა მოგვარე გიორგიმ თავურით აქცია გოლად, ხოლო მე-19-ზე თავად როინმა გაიტანა — გიორგი კახელიშვილის პასით „თბილისის“ მეკარე მიხეილ ალავიძეს პირისპირ შეეყარა და გასაკეთებელი იოლად გააკეთა.

რკინიგზელებმა, ტრადიციულად, სამი მცველით ითამაშეს და თავდამსხმელიც ნომინალურად ამდენი ჰყავდათ, ოღონდ ბრაზილიელი რამონი კახელიშვილ-სირბილაძის დუეტის ოდნავ უკან მოქმედებდა.

„ლოკომოტივს“ უზბეკი ისლომ ინომოვის არყოფნა სულაც არ დასტყობია, ნახევარდაცვის ცენტრი ლაშა ქებაძემ და დავით სირაძემ დაიკავეს, მარჯვენა ფლანგზე კი გიორგი სეთურიძე სისწრაფეში აშკარად ჩაგრავდა „თბილისის“ გიორგი ბერიძეს და გიორგი დევდარიანმაც სწორად გათვალა, როცა ბერიძე ტაიმის ბოლოს გამოცვალა.

რადგან „თბილისზე“ ვამბობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ დევდარიანმა რამდენიმე დებიუტანტი ათამაშა: გიორგი მამნიაშვილი და ლევან ჩაგელიშვილი სასტარტოშივე დააყენა, მიხეილ კოსტავა და შალვა გოდერძიშვილი კი შეცვლაზე შეიყვანა.

„მინდა, ვთქვა, რომ ახლებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ახლა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვართ“ — თქვა კიდეც ნამატჩევს დევდარიანმა.

ამას გარდა, „თბილისის“ თავკაცმა ტაქტიკური გადანაცვლებებიც მოახდინა: მარჯვენა მცველობას ნაჩვევი გიორგი ლოლაძე ნახევარდაცვის ცენტრში აწია, მარცხენა უკანახაზელ გიორგი ფოფხაძეს კი საყრდენობა დაავალა და მაინც არანაირი ხეირი... „ლოკომოტივი“ გაცილებით უკეთესი იყო, მათი ტანმაღალი ფორვარდი ირაკლი სირბილაძე ლამის ყველა მაღალ ბურთს იგებდა და 1:0-ისას მისი პასისას გიორგი კახელიშვილს ერთი შეხებით უფრო ზუსტად რომ დაერტყა, სუპერგოლი გამოვიდოდა.

მიუხედავად სწრაფი გოლებისა, „ლოკომოტივს“ თამაში არ „მოუკლავს“, 21-ე წუთზე როინ ონიანს დუბლის შესრულებამდე სანტიმეტრები დააკლდა — ხარიხას გაარტყა ბურთი. ლაშა ქებაძემ ორჯერ ვერ გამოიყენა პირისპირ გასვლა და სურთოდაც, „თბილისის“ მეკარე ალავიძე, წინა მატჩების დარად, ურიგოდ არ იდგა, მეორე ტაიმში გიორგი ალავერდაშვილს და გიორგი ონიანს მკვდარი ბურთები მოუხსნა.

„ლოკომოტივმა“ თავი საგულეს რომ დაიგულა, ოდნავ მოეშვა, თუმცა თამაში მაინც მისი იყო და „თბილისი“ მხოლოდ დიდი ძალისხმევით თუ ქმნიდა ნახევარმომენტებს — ერთხელ კოსტავამ, ერთხელაც ლოლაძემ დაახანეს დარტყმა, ხოლო ბოლო წუთზე ლაშა მიმინოშვილმა ძელს გაარტყა ბურთი.

რკინიგზელთაგან კი შეცვლაზე შესული გიორგი ჩივაძე გახლდა მატჩის მილეულს, ორჯერ გვარიანად ანერვიულა ალავიძე და კარგი სლალომითაც დაგვამახსოვრა თავი.

საბოლოოდ 2:0. უფრო დიდი ანგარიშით მარცხისთვის „თბილისი“ ცოდო იქნებოდა. მთავარი კი ისაა, რომ „ლოკომოტივი“ ცალკე ამ მოგებამ, ცალკე „ვიტ ჯორჯიას“ მიერ „ბორჯომის“ განადგურებამ და „დინამოს“ მიერ „სიონის“ წამოქცევამ ცხრილში გაალიღერა...

მატჩს კი ესწრებოდა „თბილისის“ ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლოზ დოლიძეც, რომელიც ორიოდ დღის წინ გაათავისუფლეს.

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* თუ რაიმე სერიოზულის მიღწევა გვსურს, ყველა თამაშზე მობილიზებულები უნდა გავიდეთ. ასე იყო დღეს. რა თქმა უნდა, სწრაფი გოლიც დაგვეხმარა, თუმცა თავიდანვე გატანა გვემაშიც გვქონდა.

*გიორგი დევდარიანი:* მარტო ნულ ქულაში არაა საქმე, ჩემი გუნდის თამაშის ხარისხიც ძალიან დაბალია. ზამთრისთვის რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ, იქამდე კი ოპტიმალური ბირთვი უნდა ჩამოყალიბდეს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 9 ტური

# ხართა ხნული

## ჯანაშიას და იონანიძის ბერბიჭური გოლები



იმერულ დერბიში ქუთაისის „ტორპედო“ დავით ჯანაშიას ამ გოლით დაწინაურდა

ზესტაფონი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 7 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 1:1 ტორპედო

0:1 ჯანაშია (27), 1:1 იონანიძე (64პ)

ზესტაფონი: ქვარხია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, ს. თოდუა, განუგრავა, ნუდნი (გ. თურმანიძე 73), ბესარაშვილი, გოგი ფიფია (იმედაძე 64), ბ. გოცირიძე, იონანიძე
სათადარიგონი: ბზიკაძე; ბ. ნოზაძე, რ. კვერნაძე, ლაფერაშვილი
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

ტორპედო: რევიშვილი, ხურცილავა, ებრალიძე, რ. ბარაბაძე, მაღლაკელიძე, ა. ფოფხაძე (მ. ლონლაძე 61), ტეხოვი (დოლონაძე 62), ზ. ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, კ. შალამბერიძე, ძოძუაშვილი (მდივნიშვილი 83)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ბურჯანაძე, ორმოცაძე, ჯაში
მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე

გაფრთხილება: ზ. ჩხეტიანი (8), ტეხოვი (12)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); გ. ასკაროვლი (ქარელი)

ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: ბ. მჭედლიშვილი

**კობა ინასარიძე ზესტაფონიდან**

„ზესტაფონის“ ახალ თავკაცს კობა ჟორჟიკაშვილს, ჩანს, უიღბლო პერიოდი აქვს. ამ ორი კვირის წინ მისმა გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყაზახეთს გაატანა ბოლნისიდან სამი ქულა, მერე იმავე გუნდმა საბერძნეთში წააგო 0:3, ახლა კი ჟორჟიკაშვილმა თავისი კლუბი ვერ მოქოქა სათანადოდ და შინ ოდენ ქულას დასჯერდა.

პროგნოზების მოყვარულთ არ გაუმართლათ და ძალიანაც შეცდნენ, ეს მატჩი „ზესტაფონისა“ იქნებაო, რომ თქვეს. „ზესტაფონისა“ კი არა, „ტორპედოს“ იღბალი ოდნავ მაინც რომ წაშველებოდა, სამეზობლოდან ნაღდ და დამსახურებულ სამ ქულასაც წაიღებდა. ქუთაისელმა ჭაბუკებმა თამაშის ბოლოსკენ ისეთი მომენტები ვერ გამოიყენეს, გამოცდილი ფეხბურთელები ათიდან ათს რომ გაიტანდნენ. თუმცა ეს ამბები მაშინ მოხდა, როცა მასპინძლებმა ლამის მთელი გუნდით შეუტიეს ქუთაისელებს, იქამდე კი, აი, რა მოხდა: ზესტაფონის სტადიონის გაკოხტავებულ ტრიბუნებზე ხალხი გუნდის აწ უკვე ყოფილ თავკაცს თემურ მახარაძეს წამოუდგა და აქამდელი მუშაობისთვის მადლობის ნიშნად მთავარმწვრთნელობიდან ტაშით გააცილა. მახარაძე ლოჟაში კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას გვერდით მოკალათდა და მისი მემკვიდრის დარიგებული გუნდის თამაშსაც თავიდან ბოლომდე უცქირა.

მატჩი, თქმა რად უნდა, „ზესტაფონის“ კარნახით დაიწყო. ბოლოდროინდელი წარუმატებლობით გაღიზიანებული მასპინძლები საკმაოდ აგრესიულად გამოიყურებოდნენ და თავიდანვე სცადეს დაწინაურება. „ტორპედო“ კი დაცვაში მაგრად დადგა. ქუთაისელმა მცველებმა საიმედო თამაშს ერთიორი პოზიციური შეცდომა გამოურიეს, მაგრამ ზესტაფონელებმა ამით ვერა იხეირეს. ორი კარგი საგოლე მომენტი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულ ზურაბ იონანიძეს ჰქონდა, გატანა მან თავურით სცადა, თუმცა მეკარე ნუკრი რევიშვილს ველარ აჯობა. იონანიძემ რევიშვილი მერე, პენალტით მაინც დაალონა, მაგრამ სხვა შემთხვევებში „ტორპედოს“ მეკარემ ზესტაფონელ მეგოლესა და ქომაგებს ტაში იქით დააკვრევინა.

„ტორპედო“ კი ფეხბურთს დაბრუნებული დავით ჯანაშიას შორიდან დარტყმულით დაწინაურდა. ჯანაშიამ ბურთი ცენტრის ხაზთან რომ მიიღო, ფლანგიდან შუისკენ იმოძრავა და საჯარიმოს მიახლოებულმა დაარტყა. ვერ გეტყვით, მასპინძელთა მეკარეს მცველები ჩამოეფარნენ თუ სხვა რამ იყო, ქუთაისელის დარტყმული მისთვის აუღებელი გამოდგა.

„ზესტაფონმა“ ტემპს კიდევ მოუმატა, მოედნის ცენტრში მოლდოველი სერგეი ნუდნი ციბრუტივით ბზრიალებდა, პასებს ანაწილებდა და თავადაც სულ პასის მოლოდინში იყო, მის წინ ბექა გოცირიძეც და ზურაბ იონანიძეც ბევრს მოძრაობდნენ, მაგრამ შეტევის ბოლოს არც ერთს არაფერი გამოსდიოდა, უფრო კი სტუმარი მცველები ყოჩაღობდნენ. ტაიმის დარჩენილ დროში იონანიძე-რევიშვილის დუელი ერთხელაც ვნახეთ და იმ ეპიზოდშიც მეკარემ ივარგა.

შესვენების მერე ისევ „ზესტაფონის“ შეტევები იყო. ისევ უშედეგო. მასპინძლები ცდილობდნენ, სტუმრები არ ანებებდნენ. თუმც 15 წუთში „ტორპედოსა“ და რევიშვილს დანებებამ მაინც მოუწიათ. ბურთიანი გოცირიძე სამმა ქუთაისელმა საჯარიმოში მოიმწყვდია, ფორვარდი დავარდა, არბიტრმა კი პენალტი დანიშნა. ქუთაისელებმა ავთანდილ ორდინიძის გადაწყვეტილება კი გააპროტესტეს, მაგრამ, აბა, რა შედეგს მიიღებდნენ — იონანიძემ გასატანი გაიტანა.

მერე ხალხმა გიორგი იმედაძის თამაში მოითხოვა და კობა ჟორჟიკაშვილმაც არ დააყოვნა. იმედაძემ ერთი-ორად გაამძაფრა „ზესტაფონის“ შეტევები, ძალიან აქტიურობდა, პარტნიორებს ორჯერ ბურთი დასარტყმელად შეუმზადა, თავადაც დაარტყა, მაგრამ... ამასობაში კი „ტორპედო“ დალაგდა. ქუთაისელებმა საჯარიმოს მისადგომები გაამაგრეს და მასპინძელთა შეტევის ჩაშლისთანავე მეტოქეს იქით უტევდნენ. იუბილარ კობა შალამბერიძეს ორჯერ ჰქონდა გატანის რეალური შანსი, კართან და მიზანთან ძალიან ახლოს იყო მერაბ ძოძუაშვილიც და ლევან მდივნიშვილიც, თუმც მათ კარს ზუსტად ვერ მოარტყეს.

ასეთი ამბები იყო ზესტაფონში — იდეალურ მოედანზე ფეხბურთიც კარგი გამოდის...

გორი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ძართლი. 100 მაყურებელი

### ცხინვალი 2:0 სპარტაკი

1:0 ბაკარანძე (5), 2:0 ბ. ჩიტაია (88)

ცხინვალი: გიზო შენგელია, ეჯოშვილი, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, დ. მაისურაძე, მოსიაშვილი, გამცემლიძე (გ. მაისურაძე 87), ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, ბაკარანძე, დათვაძე
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; ფერსაევი, ი. თავაძე, გაბლაია, ნოზაძე, ჩილვინაძე
მწვრთნელი: ზურაბ მაისურაძე

სპარტაკი: დევაძე, ჯანგიძე, იმნაიშვილი, ელიზბარაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ტაბიძე, ხუბუა, ქოქიაშვილი, კობალაძე (ურუშაძე 81), ლუქაშვილი, მაღლაფერიძე
სათადარიგონი: ლაბაძე, დ. ფიფია, რიჟამაძე, გაგნიძე, ჯანელიძე, ჩანტლაძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ტაბიძე (6), ეჯოშვილი (16)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

ინსპექტორი: მ. ქელიძე

# გატეხილი მთელს ჯობია

## ცხინვალის ნავსი სპარტაკთან მორჩა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩი** ორივე გუნდმა სწრაფ ტემპში დაიწყო და მსაჯის საფინალო სასტვენამდე საინტერესოდაც წარიმართა.

„ცხინვალის“ თავდამსხმელებმა თამაშის დასაწყისშივე არეულობა გამოიწვიეს „სპარტაკის“ დაცვაში: განსაკუთრებით დათვაძე-ბაკარანძის დუეტი გამოირჩეოდა, რომელთაც კარგად უბამდა მხარს ბექა ჩიტაიაც.

უკვე მე-4 წუთზე მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა დათვაძე გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და საჯარიმოში ბაკარანძეს ჩაუწოდა, მაგრამ პაატამ არაზუსტად დაარტყა. წუთის შემდეგ კი ბაკარანძემ ზუსტი თავურით გახსნა აგარიში — 1:0.

მე-7 წუთზე დევაძემ ითამაშა კარგად და დათვაძის საჯარიმო დარტყმა მოიგერია. დათვაძემ მალევე მეორე მომენტიც გააცუდა.

სტუმრები ცდილობდნენ მასპინძელთა შეტევების ჩახშობას და კონტრშეტევების წამოწყებას, მაგრამ მარტივ სიტუაციებში არაზუსტი პასების გამო ჩანაფიქრს ვერ ახორციელებდნენ.

ტაიმის ბოლოს „სპარტაკს“ მაინც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ლაშა ჯანგიძემ, მაგრამ მისი თავური არაზუსტი აღმოჩნდა.

მეორე ნახევარში თბილისელებმა უფრო მწვავედ შეუტიეს. მასპინძლებს თითქოს დაბნეულობა დაეტყოთ, განსაკუთრებით მათ ნახევარდაცვას გაუჭირდა აქტიურად ათამაშებული სტუმრების შეჩერება.

მატჩის ბოლოს „ცხინვალმა“ ძალა მოიკრიბა და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელა კიდეც. მე-80 წუთზე დათვაძის საჯარიმოდან დარტყმული ოდნავ ასცდა „სპარტაკის“ კარს, 84-ე წუთზე კი დათვაძე-ხანიშვილის კომბინაციის შემდეგ დევაძემ იხსნა გუნდი გოლისაგან...

საბოლოო ანგარიში 88-ე წუთზე დაფიქსირდა — სტუმრები მთელი ძალებით შეტევაზე იყვნენ გადასულნი, მაგრამ დაკარგეს ბურთი და მასპინძელთა ფლანგურ გარღვევას დათვაძის ზუსტი ჩაწოდება მოჰყვა — უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბექა ჩიტაიამაც ახლოდან თავით ლამაზი გოლი გაიტანა — 2:0.

„ცხინვალმა“ ნავსი გატეხა: პირველი გოლები და პირველი გამარჯვება საკუთარ მოედანზე!

**პრესკონფერენცია**

*გიგლა იმნაძე:* თამაში დაძაბული იყო. სახიფათო მომენტების გამოუყენებლობა კი გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობის და გამოუცდელობის ბრალია.

*ზურაბ მაისურაძე:* ნავსი საინტერესო თამაშში გავტეხეთ. გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშეთ, ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თუმცა შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:2 | 23 |
| სიონი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:7 | 22 |
| ბორჯომი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:8 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 1 | 3 | 8:7 | 16 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 1 | 3 | 6:5 | 13 |
| ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:6 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 0 | 5 | 12:10 | 12 |
| კახეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:13 | 12 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 5:9 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 0 | 6 | 6:12 | 9 |
| ტორპედო | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| სოხუმი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:20 | 7 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 1 | 7 | 1:10 | 4 |
| თბილისი | 9 | 0 | 0 | 9 | 2:17 | 0 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IX ტური

**ჩელსი 4:1 ბოლტონი**

0:1 იანაკოპულოსი (4), 1:1 დროგბა (52), 2:1, 3:1 ლამპარდი (55, 59), 4:1 დროგბა (61), 5:1 გუდიონსენი (74)
ჩელსი: ჩეხი, რ. კარვალიუ, გალასი, ტერი, დელ ორნო (გუდიონსენი 46), მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, ჯო კოული (პ. ფერეირა 59), შ. რაიტ-ფილიპსი (კ. კოული 74), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ბოლტონი: იასკალაინენი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, ფეიე, ჯაიდი, იანაკოპულოსი, სპიდი (ნაკატა 46), დიუფი, ნოლანი, დევისი (ფერნანდესი 75), პედერსენი (გარდნერი 42)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დროგბა, ესიენი, ჯაიდი, ნოლანი
გაძევება: გარდნერი (58)
მსაჯი: სტაილსი
41 775 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:3 მანჩესტერი**

0:1 რუნი (40), 0:2 ვან ნისტელროი (76), 1:2 ელიოტი (82), 1:3 როსი (87)
სანდერლენდი: დევისი, ბრინი, ნოსუორთი, კოლდველი, ჰოიტი, ლოურენსი (ლე ტალეკი 62), ვაითჰედი, მილერი, ველში (რობინსონი 86), ელიოტი, გრეი (სტიდი 62)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრედსლი, სილვესტრი, ფერდინანდი, ოში (პიკი 89), პარკი, სმიტი, სქოულზი, რუნი, ვან ნისტელროი (როსი 78), კ. რონალდო (მილერი 89)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვაითჰედი, კოლდველი, სტიდი, კ. რონალდო
მსაჯი: ბენეტი
39 085 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 ევერტონი**

1:0 მიდო (58), 2:0 ჯენასი (63)
ტოტენჰემი: რობინსონი, დოუსონი, სტალტერი, კინგი, ლი, ლენონი (რიდი 72), კარიკი, ჯენასი, მიდო, დეფო (კინი 79)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ევერტონი: მარტინი, იობო, ვეირი, ფერარი (ფერგიუსონი 65), ნუნო ვალენტე, დევისი, ფ. ნევილი, კილბეინი, ჩეჰილი (ბიტი 75), ბენტი, მაკფადენი (ოსმანი 80)
მწვრთნელი: დევი მოიესი
გაფრთხილება: ჩეჰილი, მაკფადენი
მსაჯი: გალაჰერი
36 247 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 არსენალი**

0:1 სენდეროსი (17), 1:1 კანუ (38), 2:1 კარტერი (76)
ვესტ ბრომვიჩი: კირკლანდი, ალბრეხსტენი, კ. დევისი, კლემენტი, უოტსონი, რობინსონი, ვოლვორკი (კარტერი 68), გრინინგი, კამარა, ჰორსფილდი (ელინგტონი 78), კანუ (მური 70)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
არსენალი: ლემანი, ტურე, ლორენი, სენდეროსი, კლიში, ფაბრეგასი, ფლამინი (აბუ 77), ლიუნგბერგი (ებუ 36), პირესი, რეიესი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: უოტსონი, რეიესი, კლიში
მსაჯი: ნაითი
26 604 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ნიუკასლი**

1:0 რობერტსი (40)
უიგანი: ფილანი, ანშო, დე ზეუვი, ჩიმბონდა, ბაინესი, ბულარდი (ტეილორი 82), კავანაგი, ფრენსისი, მაკკულოკი, რობერტსი, კამარა (კონოლი 76)
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
ნიუკასლი: გივენი, ტეილორი, კარი, ბუმსონგი, ელიოტი (კლარკი 48), ბოიერი (ამეობი 37), პარკერი, ფეიე (ემრე 46), ნზოგბია, შირერი, ოუენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ფრენსისი, ანშო, ამეობი, კარი, ტეილორი
გაძევება: მაკკულოკი (85)
მსაჯი: დაუდი
22 374 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 პორტსმუთი**

0:1 ონილი (46), 1:1 იაკუბუ (54)
მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, პარნაბი, საუთგეიტი, პოგატეცი, მაკარონე (ვიდუკა 55), ბოატენგი, კედრუ (მენდიეტა 46), დორივა, როჩემბაკი (ჰასელბაინკი 55), იაკუბუ
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
პორტსმუთი: ეშდაუნი, სტეფანოვიჩი, პრისკე, ობრაიენი, გრიფინი (სკოპელიტისი 46), ონილი, ვიაფარა, ტეილორი, ვუკიჩი, სილვმა (ტოდოროვი 46), რობერი (ვინალი 58)
მწვრთნელი: ალან პერინი
გაფრთხილება: პოგატეცი, ბოატენგი, სკოპელიტისი, ვინალი, ონილი
მსაჯი: ფოი
26 551 მაყურებელი

**ლივერპული 1:0 ბლექბერნი**

1:0 ჯ. სისე (75)
ლივერპული: რეინა, კარაგერი, ხოსემი (ლუის გარსია 60), ტრაორე, ვორნოკი (რიისე 74), ფინანი, სისოკო, ალონსო, ზენდენი, კრუჩი (მორიენტესი 66), ჯ. სისე
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილსენი, გრეი, ნილი, ხიზანიშვილი, ბენტლი, თუგაი (მოკოენა 67), სევიჯი, პედერსენი (ემერტონი 67), დიკოვი (ტოდი 35), კუკი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ბენტლი, ნილი, სევიჯი
გაძევება: ხიზანიშვილი (33)
მსაჯი: ჰელსი
44 697 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:1 ასტონ ვილა**

0:1 ფილიპსი (19)
ბირმინგემი: მ. ტეილორი, ტებილი, მარ. ტეილორი, აპსონი, კლაპანი (დანი 47), პენანტი, ჯონსონი, კლემენსი (იაროშიკი 39), გრეი, ჰესკი, პანდიანი (ფორსელი 45)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, ჰიუზი, რიჯველი, ბუმა, მილნევი, დევისი, ბაკე (ჯემბა ჯემბა 84), ბერი (ბერგერი 66), მური, ფილიპსი (ანხელი 64)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ფორსელი, ჯონსონი, რიჯველი, მელბერგი
მსაჯი: პოლი
29 312 მაყურებელი

**სიტი 2:1 ვესტ ჰემი**

1:0 2:0 კოული (18, 56), 2:1 ზამორა (90)
სიტი: ჯეიმსი, დისტინი, ონუჰა, მილსი, ჯორდანი, რეინა, ბარტონი, ირლანდი (კროფტი 81), მუსამპა (ჯიჰაი 87), ვასელი, კოული
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ვესტ ჰემი: კეროლი, გაბიდონი, ფერდინანდი, რეპკა (დეილი 45), კონჩესკი, ბენაიუნი, მულინსი, რეო კოკერი, ეტერინგტონი (ნიუტონი 82), შერინგემი (ზამორა 67), ჰარუდი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: მუსამპა, ჯორდანი
მსაჯი: კლატენბურგი
43 647 მაყურებელი

**ჩარლტონი — ფულემი**

*დღეს გაიმართება*

# ხიზანას გაძევების საღამოს



ფრენკ ლამპარდის გოლებმა „ბოლტონი" საბოლოოდ გატეხა

**პატრიკ ვიერა** გაყიდულია, ტიერი ანრი დამტვრეული. ტრავმიანი სხვაც ბევრია. მაგალითად, ფეხმოტეხილ ეშლი კოულს გაელ კლიჩი ცვლის. „არსენალი" კი აგებს: უკვე მესამედ რვა თამაშში. ასეთი რამ წლებია არ ყოფილა. მეთოფეთა მძლეველი კი ბოლო სამეულიდან ამ მოგებით დაძრული „ვესტ ბრომვიჩია".

როცა ფილიპ სენდეროსმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი შეაგდო მასპინძელთა კარში, განწყობა ისეთი იყო, რომ „არსენალს" არ გაუჭირდება, მაგრამ ნვანკო კანუმ იმავ სენდეროსის შეცდომა გამოიყენა და თავის ძველ გუნდს გაუთანაბრა.

კანუს თებერვლის შემდეგ არ გაეტანა გოლი, „ვესტ ბრომს" კი ყველაზე ცუდი სათამაშო შედეგი ჰქონდა ბრაიან რობსონის უფროსობის ხელში. ამის მიუხედავად, დარენ კარტერმა ძირსდაუშვებელი დარტყმით 76-ე წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი, რაც საბოლოოდ მოგება გამოდგა.

„ვესტ ბრომმა" კი ძეგლი უნდა დაუდგას მეკარე კრის კირკლანდს, რომელმაც იმ საღამოს გადაწყვიტა, გოლი არ გაეშვა.

ცხადია, ასეთ ვითარებაში „არსენალისგან" საჩემპიონო ბრძოლაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია. ამას არსენ ვენგერიც აღიარებს: „ახლა ჩემპიონობაზე არ ვფიქრობთ, ახლა სხვა გასაჭირი გვიდგას. თამაში კი უცნაური იყო, სული საბრძოლო გვქონდა; მაგრამ სიბრძნე გვაკლდა".

ჩემპიონობის კანდიდატი კი ერთია, „ჩელსიმ" კვლავ მოიგო, 5:1 აჯობა „ბოლტონს" და ეს იყო გუნდის ყველაზე უხვგოლიანი გამარჯვება, ჟოზე მაურინიუს ხელში. თანაც, „ბოლტონი" ზედ „სტერფორდ ბრიჯზე" იგებდა მთელს პირველ ტაიმსა და კიდევ 7 წუთს: სტელიოს იანაკოპულოსმა ადრევე გაუტანა მასპინძლებს. ოღონდაც, მეორე ტაიმის ცხრაწუთიან მონაკვეთში „ჩელსიმ" ოთხი გოლი გაიტანა. ფრენკ ლამპარდმა დუბლი გააზრჩა, დიდიე დროგბას თითო გოლს შორის, ამ გაწამაწიაში კი ბოლტონელებს რიკარდო გარდნერი გაუძევეს საჯარიმოში ხელით თამაშისთვის. ბოლოს ეიდურ გუდიონსენმა შეაგდო.

მაურინიუმ კი თქვა: „მაგარი საცქერი იყო ჩვენი გასახდელი. შესვენებაზე ვთქვი, როგორ უნდა გვეთამაშა. ზოგჯერ შენები უნდა შეანჯღრიო და ტაქტიკაც შეცვალო."

„ჩელსის" კი სდევენ „ტოტენჰემი" და „მანჩესტერი", რომლებიც 9-10 ქულით ჩამორჩებიან... შაბათს ორივემ უპრობლემოდ მოიგო. „მანჩესტერელთა" შორის კი გოლი გაიტანა ამერიკაში დაბადებულმა ახალგაზრდა იტალიელმა ჯუზეპე როსიმ, რომელიც შეცვლაზე შემოვიდა. სალაპარაკო კი კვლავ უეინ რუნის თამაში იყო.

ქართველთათვის საინტერესო ამბავი მოხდა ენფილდზე, სადაც „ლივერპულმა" კენტი გოლით მოუგო „ბლექბერნს" ზურა ხიზანიშვილი კი ჯიბრილ სისეს წაქცევისთვის გააძევეს. „ბლექბერნი" ლამის ერთ საათს 10 კაცით უძალიანდებოდა ევროპის ჩემპიონებს. ზურამ საჯარიმოს შორიახლოს მოცელა სისე, მსაჯმა მარკ ჰელსიმ კი ჩათვალა, რომ ეს ბოლო იმედის ჯარიმა იყო და წითელი ააფრიალა. ეს გაძევება სადაოდ დაურჩა ინგლისურ მედიას „ბლექბერნის" თავკაცმა მარკ ჰიუზმა კი თქვა:

„მსაჯმა მოედანზე მიმდინარე ამბები უკეთ უნდა დაინახოს. მან გავლენა მოახდინა თამაშზე. ჩვენ გავასაჩივრებთ, რომ არ გავასაჩივროთ, თამაში გაუცდება".

გოლი კი სისემვე გაიტანა, ჯარიმიდან, თამაშის მიწურულს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 8 |
| დარენ ბენტი (ჩარლტონი) | 7 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 7 |
| დროგბა (ჩელსი) | 5 |
| იაკუბუ (მიდლსბრო) | 5 |

| X ტური | | |
|---|---|---|
| 22-23 ოქტომბერი | | |
| არსენალი | : | სიტი |
| ასტონ ვილა | : | ვიგანი |
| ბლექბერნი | : | ბირმინგემი |
| ბოლტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ევერტონი | : | ჩელსი |
| ფულემი | : | ლივერპული |
| მანჩესტერი | : | ტოტენჰემი |
| ნიუკასლი | : | სანდერლენდი |
| პორტსმუთი | : | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | : | მიდლსბრო |

## ჩემპიონატი

### XIII ტური

**ბრაიტონი 1:2 კარდიფი**
0:1 კუმასი (11), 1:1 მაკშეინი (60), 1:2 ლი (73)

**ბარნლი 1:2 ლიდსი**
1:0 ოკონორი (59პ), 1:1 ლიუისი (70), 1:2 ჰელსი (74)

**ქოვენთრი 1:4 კრ. პალასი**
0:1 ვორდი (13), 1:1 ჰიტი (44), 1:2 მორისონი (45), 1:3 უოტსონი (57), 1:4 მაკენი (90)

**ქრიუ 3:1 ლუტონი**
0:1 მორგანი (28), 1:1 ჯონსი (36), 2:1 ლანტი (87), 3:1 ვარნეი (89)

**დერბი 2:1 სტოკი**
1:0 იდიაკესი (45), 1:1 ჰოფკინსი (58), 2:1 პეშისოლიდო (85)

**ნორვიჩი 1:1 მილუოლი**
0:1 უილიამსი (22), 1:1 ეშტონი (51)

**პლიმუთი 1:1 უენსდი**
0:1 ბუზაკი (23ს.კ.), 1:1 ვოტონი (78პ)

**პრესტონი 1:1 ქპრ**
0:1 შიტუ (61), 1:1 მავენე (90)

**შეფილდი 1:0 ვულვზი**
1:0 შიპერლი (15)

**საუთჰემპტონი 1:1 ჰალი**
1:0 ოკლი (43), 1:1 ელისონი (78)

**უოტფორდი 1:2 ლესტერი**
0:1 დე ვრიესი ( 28), 1:1 იანგი (48), 1:2 კისნობრო (50)

**რედინგი 2:0 იფსვიჩი**
1:0 ნეილორი (18ს.კ.), 2:0 დოილი (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 13 | 11 | 0 | 2 | 26:12 | 33 |
| რედინგი | 13 | 9 | 3 | 1 | 23:7 | 30 |
| ლუთონი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:14 | 24 |
| ლიდსი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:11 | 21 |
| კრ. პალასი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:12 | 20 |
| ვულვზი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:12 | 19 |
| უოტფორდი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:17 | 19 |
| საუთჰემპტონი | 13 | 3 | 9 | 1 | 14:11 | 18 |
| კარდიფი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| ქუინზ პარკი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:16 | 17 |
| იფსვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 12:19 | 17 |
| დერბი | 13 | 3 | 7 | 3 | 18:18 | 16 |
| ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:14 | 16 |
| სტოკი | 13 | 5 | 1 | 7 | 13:21 | 16 |
| ლესტერი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:16 | 15 |
| პრესტონი | 13 | 3 | 6 | 4 | 13:15 | 15 |
| ჰალი | 13 | 3 | 5 | 5 | 10:11 | 14 |
| ბარნლი | 13 | 3 | 4 | 6 | 19:18 | 13 |
| პლიმუთი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:17 | 13 |
| ქოვენთრი | 13 | 2 | 6 | 5 | 16:22 | 12 |
| ქრიუ | 13 | 2 | 6 | 5 | 14:21 | 12 |
| უენსდი | 12 | 2 | 5 | 5 | 10:15 | 11 |
| მილუოლი | 13 | 2 | 5 | 6 | 11:19 | 11 |
| ბრაიტონი | 13 | 1 | 7 | 5 | 13:19 | 10 |

## პირველი ლიგა

### XIV ტური

ბარნსლი — ბლეკპული 2:2; ბრენტფორდი — სუინდონი 0:0; ბრისტოლი — ტრანმერი 1:0; კოლჩესტერი — ბორნმუთი 0:1; დონკასტერი — საუთენდი 2:0; ჯილინგემი — იოვილი 0:0; ჰადერსფილდი — უოლსოლი 3:1; დონსი — ჩესტერფილდი 0:0; ნოტინგემი — ჰარტლპული 2:0; პორტ ვეილი — ბრედფორდი 0:1; სკანთორპი — როტერჰემი 2:2; სუონსი — ოლდემი 0:0

## მეორე ლიგა

### XIV ტური

ჩელტენემი — გრიმსბი 0:3; ნორთჰემპტონი — ოქსფორდი 1:0; ბარნეტი — ჩესტერი 1:3; ბოსტონი — როვერსი 3:1; ბერი — დარლინგტონი 1:0; კარლაილი — მენსფილდი 1:0; ლეიტონი — ლინკოლნი 1:1; მაკლსფილდი — პიტერბრო 0:4; როჩდეილი — ნოტსი 3:0; შრიუსბერი — სტოკპორტი 2:2; რექსემი — ტორკი 4:2; უიკომბი — რაშდენი 0:0

## კონფერენსლიგა

### XIII ტური

ალდერშოტი — კიდერმინსტერი 1:0; ალტრინხემი — საუთპორტი 1:0; ქროული — ექსეტერი 0:2; ფორესტ გრინი — უოკინგი 0:3; გრეისი — სკარბორო 5:0; ჰალიფაქსი — კემბრიჯი 1:0; ჰერეფორდი — ბარტონი 2:0; მორიკემბი — დაგენემი 2:0; სტივენეიჯი — აკრინგტონი 3:1; ტემუორთი — გრეივსენდი 1:0; იორკი — კონვი 2:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 9 | 9 | 0 | 0 | 23:3 | 20 | 27 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 |
| 2 ტოტენჰემი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 6 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 3 მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:6 | 7 | 17 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 13 |
| 4 სიტი | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 5 უიგანი | 8 | 5 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 6 ჩარლტონი | 7 | 5 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 15 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 |
| 7 ბოლტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 7 |
| 8 არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 5 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 9 ვესტ ჰემი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:6 | 5 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 10 მიდლსბრო | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | -2 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 5 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 |
| 11 ბლექბერნი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 12 ლივერპული | 7 | 2 | 4 | 1 | 5:6 | -1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 13 ნიუკასლი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:8 | -3 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 4 |
| 14 ასტონ ვილა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | -5 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 |
| 15 ვესტ ბრომვიჩი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | -6 | 2 |
| 16 პორტსმუთი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 |
| 17 ბირმინგემი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:13 | -6 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 18 ფულემი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 |
| 19 სანდერლენდი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:14 | -7 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 20 ევერტონი | 8 | 1 | 0 | 7 | 1:11 | -10 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 | 5 | 1 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 3 |

# შაში დუ ბრემენში
## მგელმა ჰამბურგი შეჭამა




„ჰამბურგი" — „ვოლფსბურგი" 0:1. გარჩევები მრავლად იყო

### გერმანია
**ბუნდესლიგა. IX ტური**

**შალკე 1:1 ბაიერნი**
0:1 სანტა კრუზი (19), 1:1 ლარსენი (90პ)
**შალკე:** როსტი, რაფინია, როდრიგესი (ვარელა 80), ბორდონი, კრსტაიჩი, პაულსენი, ფ. ერნსტი (ჰამიტ ალტინტოპი 46), **ქობიაშვილი**, ლინკოლნი, კურანი (სანდო 60), ლარსენი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, ოტლი, შვაინშტაიგერი, ისმაელი, დემიკელისი, დაისლერი (ქარიმი 83), ბალაკი, ზე რობერტო (სალიჰამიჯიჩი 46), მაკაი, სანტა კრუზი (პიზარო 90)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფ. ერნსტი, კრსტაიჩი, სალიჰამიჯიჩი, სანტა კრუზი, კანი, მაკაი, ბალაკი
გაძევება: დემიკელისი (90)
მსაჯი: ვაინერი
61 524 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:1 ვოლფსბურგი**
0:1 კლიმოვიჩი (19)
**ჰამბურგი:** ვეხტერი, ბულარუზი, დე მელი (მაჰდავიკია 66), ატუბა, ვან ბუიტენი, იაროლიმი, ვიკი (ტაკაჰარა 81), ბაინლიხი, ვან დერ ვაარტი, ლაუტი (მეეზა 66), ბარბარეზი
მწვრთნელი: თომას დოლი
**ვოლფსბურგი:** იენი, კაროგა, ალექსი (მენსეგუში 79), ფრანცი, ნეზირი, ტიამი, სარპეი, ვან დერ ჰეიდენი, დალესანდრო (მნორი 90), ჰანკე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ლაუტი, ბაინლიხი, ვიკი, კლიმოვიჩი, ალექსი, ნეზირი, სარპეი
გაძევება: ფრანცი (90), ვან დერ ვაარტი (90)
მსაჯი: შტარკი
55 800 მაყურებელი

**კაიზერი 3:3 დორტმუნდი**
0:1 სმოლარეკი (7), 1:1 ჰალილ ალტინტოპი (13), 1:2, 1:3 სმოლარეკი (16, 40), 2:3, 3:3 ჰალილ ალტინტოპი (56, 78)
**კაიზერი:** მახო, ჰერჩი, მეტომო (ზანდი 46), პლეჩი, ვენცელი, სფორცა (რიდლი 46), ენგელჰარდტი (ნერლინგერი 74), სკელა, ჰალილ ალტინტოპი, ზაიცი, სანოგო
მწვრთნელი: მიხაელ ენკე
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ბრზენსკა, მეცელდერი, ვიორნსი, დედე, კრინგე (კრუსკა 81), კელი, როსიცკი, ოდონკორი, რიკენი (ბაკლი 63), სმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ვენცელი, მეცელდერი, ნერლინგერი, კელი
მსაჯი: შიპელი
32 051 მაყურებელი

**ვერდერი 6:2 ნიურნბერგი**
1:0 კლოზე (2), 1:1 კესლინგი (16), 2:1, 3:1 კლოზე (34, 39), 3:2 შროტი (57), 4:2 კლასნიჩი (66), 5:2 ბოროვსკი (80), 6:2 კლასნიჩი (85)
**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა (ფარენჰორსტი 73), ნალდო, ანდრეასონი, შულცი, ბაუმანი, ფრინგსი, მიკუ, ბოროვსკი (ვრანიეში 81), კლასნიჩი, კლოზე (ვალდესი 67)
მწვრთნელი: თომას შააფი
**ნიურნბერგი:** შეფერი, რეინჰარდტი, პაულუსი, ნიკლი (ლემსი 46), კანტალუპი, მიულერი, პოლაკი (მნარი 71), ბანოვიჩი (ვიტეკი 67), შროტი, კესლინგი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
მსაჯი: მეიერი
39 542 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:1 გლადბახი**
0:1 კლუგე (17), 1:1 შტრასერი (89ს.კ)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ფ. მეირა, ჰინკელი, დელპიერი, ჰ. გერბერი, სოლდო, გენტნერი, ჰიტცლშპერგერი (შტრელერი 53), გრონკიაერი (ტიფერტი 66), გომესი, კაკაუ
მწვრთნელი: ჟოვანი ტრაპატონი
**გლადბახი:** კელერი, ზე ანტონიო, ფუკალი, შტრასერი, იანსენი, უდე კამპუსი, კლუგე (დაუმი 80), ელ ფაკირი, ბროიხი (ტისი 74), კაე (სვერკოში 67), ნოიველი
მწვრთნელი: ჰორსტ კოპელი
გაფრთხილება: სოლდო, ნოიველი, გრონკიაერი
მსაჯი: დრესი
45 000 მაყურებელი

**მაინცი 3:1 ლევერკუზენი**
1:0 რუმანი (56), 2:0 ტურკი (61პ), 3:0 რუმანი (75), 3:1 ბარნეტა (79)
**მაინცი:** ვახე, ნოვესკი, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ვაიგელტი, პეკოვიჩი, და სილვა, ნ. ვაილანდი (ადო 72), რუმანი (როსე 89), ტურკი (დ. ვაილანდი 80), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**ლევერკუზენი:** ბუტი, როკე ჟუნიორი, ჟუანი, კ. ფრიცი (ფრაიერი 65), ატირსონი, ბ. შნაიდერი, რამელოვი, როლფესი (ბარნეტა 76), კრჟინოვეკი (ბაბიჩი 57), ბერბატოვი, ვორონინი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბაბიჩი, ვორონინი
მსაჯი: ბრიხი
20 300 მაყურებელი

**არმინია 3:0 ჰერტა**
1:0 ბორგესი (14), 2:0 ვესტერმანი (29), 3:0 ზუმა (52)
**არმინია:** ჰაინი, ბორგესი, ვესტერმანი, კორჟინეცი, შულერი, ფინკი (პინტო 67), კუხსელი (ლეონი 78), კუჩერა, კობილიკი, ზუმა, ბოაკი (დამაიერი 86)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
**ჰერტა:** ფიდლერი, მადლუნგი, სიმუნიჩი, ა. ფრიდრიხი, ფატი, დარდაი, ნ. კოვაჩი (რაფაელი 46), ბაშტურკი, ჟილბერტო (ნიონდორფი 49), მარსელინიო, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გოტცი
გაფრთხილება: მადლუნგი
მსაჯი: ვოკი
20 117 მაყურებელი

**კიოლნი 1:4 ჰანოვერი**
1:0 შტრაიტი (47), 1:1 შტაინერი (48), 1:2 ბრდარიჩი (53), 1:3 რ. სოუზა (56პ), 1:4 ბრდარიჩი (70)
**კიოლნი:** ვესელსი, სპრინგერი, სინკიევიჩი, შლიკე, ლელი, გრამოცისი (სინკალა 72), შინდზილორსი (პოდოლსკი 46), შტრაიტი, მოსტარი, ლურლინგი, მადსენი (ეპშტაინი 72)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
**ჰანოვერი:** ენკე, ტარნატი, ზურავი, მერტესაკერი, ლალა (ვინსიუსი 84), რ. სოუზა, ბალიჩი, შტაინერი, ალფარი (დელურა 77), ბრდარიჩი (ჰ აშეიბიენი 84)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ლურლინგი, ლალა, ბრდარიჩი, ზურავი
მსაჯი: მერკი
50 000 მაყურებელი

**დუისბურგი 0:1 აინტრახტი**
0:1 მაიერი (27)
**დუისბურგი:** კოხი, ვოლტერსი (ვან ჰუდტი 60), მიორლე, ბილიშკოვი, მეიერი, ბაელუნი, ვილი, ბუგერა (მიხალკე 84), ლოტნერი (რიტპიჩი 60), კუტი, აჰანფუფი
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, რემერი, ვასოსკი, სპიხერი, ოხსი, ჰუგელი, კრისი (სიმენი 87), კიოლერი (პრეუსი 74), მაიერი, კოპადო (დუ რი ჩა 66), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ვილი, კოხი
მსაჯი: შმიდტი
24 636 მაყურებელი

**ორკვირიანი** შესვენების შემდეგ გოლსმოწყურებული ბუნდესლიგელები ერთმანეთს დაერივნენ და პანტაპუნტით გაიტანეს, რაფაელ ვან დერ ვაარტი კი სულაც ვოლფსბურგელ ფეხბურთელებს დაეტაკა და მათი მწვრთნელი კინალამ შემოელახა.

„ჰამბურგის" 19-მატჩიანი წაუგებელი სერია „ვოლფსბურგმა" შეწყვიტა. პირველი ტაიმის შუაში კიროგა-კლიმოვიჩის კომბინაცია გოლით დასრულდა. შესვენებამდე კლიმოვიჩს მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ დალესანდროს კარგი პასი ვერ გამოიყენა.

ჰამბურგელები მეორე ტაიმში მიასკდნენ „მგლებს", მაგრამ ფეხბურთში რომ ვერ აჯობეს, ჩხუბზე გადავიდნენ. მატჩის დამთავრების შემდეგ რაფაელ ვან დერ ვაარტმა „ვოლფსბურგის" მწვრთნელ ჰოლგერ ფახს ხელი ჰკრა, რომელსაც მაიკ ფრანცი გამოესარჩლა. ვან დერ ვაარტიც და ფრანციც გააძევეს, მაგრამ ვოლფსბურგელმა დაიჩივლა: „მწვრთნელის დაცვას ვცდილობდი და მსაჯმა მიჰკრა, რომ წითელი ბარათი მხოლოდ მე მაჩვენა. მაშინ ყველა უნდა გაეძევებინა".

„აუფ შალკეზე" გელზენკირხენელებს აქამდე „ბაიერნისთვის" მიჯრით ხუთი მატჩი ჰქონდათ მოგებული: ოთხი ბუნდესლიგაში, ერთიც თასზე. „ბაიერნს" ნავსის გატეხვა გამარჯვებით შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული პენალტის გამო მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ფელიქს მაგათმა ნამატჩევს განაცხადა: „ჩვენი ბრალია, რომ მხოლოდ ქულა შეგვერჩა. 1:0-ის შემდეგ კონტრშეტევებისას, ორი-სამი გოლის გატანა გვმართებდა".

ანგარიში როკე სანტა კრუზმა ზე რობერტოს პასით გახსნა. გარდა ამისა, სანტა კრუზმა და როი მაკაიმ ვერ გამოიყენეს თითო კარგი მომენტი, როცა „შალკემ" მეორე ტაიმის ბოლოს გასათანაბრებლად გაიწია. შვაინსტაიგერმა კი ლარსენი საპენალტოზე წააქცია და დანიელმა თერთმეტი მეტრიდან კანს გაუტანა.

„ბაიერნის" და „ჰამბურგის" წაფორთხილებით „ვერდერმა" ისარგებლა და პირველზე გადავიდა. ბრემენელმა ნიურნბერგელები თავის დაკრულზე აცეკვეს, სოლო კი მიროსლავ კლოზემ შეასრულა, რომელმაც ჰეთ ტრიკი მიითვალა. ივან კლასნიჩი დუბლს დასჯერდა, ხოლო ტიმ ბოროვსკიმ ერთი გაიფორმა.

კაიზერსლაუტერნში ჰალილ ალტინტოპისა და ები სმოლარეკის „დუელი" ფრედ დასრულდა, [illegible] სამი გაიტანა, [illegible] „ლაუტერნისთვის" [illegible] გამოდგა, რადგან მასპინძლები თამაშის განმავლობაში აგებდნენ და დორტმუნდელებს ქულა მეორე ნახევარში გამოჰგლიჯეს.

ბილეფელდის „არმინიამ" პირველივე ტაიმში გატეხა „ჰერტა". ბორგესმა და ვესტერმანმა თხუთმეტწუთიან მონაკვეთში ორი გოლით დააწინაურეს მასპინძლები, ხოლო შესვენების შემდეგ, მეკარესთან პირისპირ გასულ ხიმოხისუ ზუმას მესამის გატანა არ გასჭირვებია.

ჯოვანი ტრაპატონის [illegible] „შტუტგარტს" მეტოქის მცველი დაეხმარა და ქულა დაუტოვა. მიონხენგლადბახის „ბორუსია" პეტერ კლუგეს გოლით იგებდა, მაგრამ გლადბახელმა ჯეფ შტრასერმა თამაშის ბოლოსწინა წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „შტუტგარტის" საკეთებელი გააკეთა.

მიხაელ სკიბეს ბაიერული დებიუტი მარცხიანი გამოდგა. „მაინცმა", აქამდე შინ მატჩი რომ არ მოეგო, მოიწადინა, მაინცდამაინც სკიბესთვის ჩაეშხამებინა დებიუტი და კიდეც გამოუვიდა. მეორე ტაიმის ცხრამეტწუთიან მონაკვეთში „ბაიერის" დაცვა დაიბნა და სამი გოლი გაუშვა. სტუმართა ტრანკილომ ერთის გაქვითვა მოახერხა, რაც სკიბეს ალბათ ოდნავ მაინც გაახარებდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვერდერი | 9 | 7 | 1 | 1 | 27:12 | 15 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 17:8 | 9 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 9 |
| 2 | ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | 12 | 22 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 10 |
| 3 | ჰამბურგი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | 12 | 20 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 8 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 |
| 4 | შალკე | 9 | 4 | 5 | 0 | 11:6 | 5 | 17 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 |
| 5 | გლადბახი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 1 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 6 | ვოლფსბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:12 | 0 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 |
| 7 | ჰერტა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 5 |
| 8 | დორტმუნდი | 9 | 2 | 5 | 2 | 14:13 | 1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 5 | 0 | 4 | 1 | 9:10 | -1 | 4 |
| 9 | შტუტგარტი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:10 | 0 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 |
| 10 | ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:17 | -1 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 6 |
| 11 | ჰანოვერი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 0 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 5 |
| 12 | არმინია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | -5 | 2 |
| 13 | კიოლნი | 9 | 3 | 0 | 6 | 12:17 | -5 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | -2 | 3 |
| 14 | ლაუტერნი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:21 | -8 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 9:16 | -7 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 15 | მაინცი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:13 | -5 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 16 | აინტრახტი | 9 | 2 | 1 | 6 | 4:12 | -8 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 |
| 17 | დუისბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:17 | -6 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 1 |
| 18 | ნიურნბერგი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | -9 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | -9 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 10 |
| კლოზე (ვერდერი) | 10 |
| ები სმოლარეკი (დორტმუნდი) | 8 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 8 |

### X ტური
22-23 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი | არმინია |
| ჰანოვერი | ვერდერი |
| აინტრახტი | კიოლნი |
| ბაიერნი | დუისბურგი |
| ვოლფსბურგი | შალკე |
| დორტმუნდი | ჰამბურგი |
| გლადბახი | ლაუტერნი |
| ლევერკუზენი | შტუტგარტი |
| ჰერტა | მაინცი |

### მეორე ბუნდესლიგა
IX ტური

**ალენი 2:2 კარლსრუე**
1:0 პაჩინსკი (2), 1:1 როტენბახი (42), 2:1 პაჩინსკი (45), 2:2 დანდი (53)

**მიუნხენი 1:0 პადერბორნი**
1:0 ჰოფმანი (18)

**ბანზა 1:0 აუე**
1:0 პრიკა (18)

**ფიურტი 6:2 ბურგჰაუზენი**
0:1 ბოგავაჩი (31), 1:1 ჰერსიგი (35ს.კ.), 2:1 ტიმი (36), 3:1 იგლერი (37), 4:1 ჰილბერტი (39), 4:2 ბურხარდტი (41), 5:2 ფელენაუერი (53), 6:2 ჰილბერტი (67)

**ოფენბახი 1:1 ზიგენი**
0:1 რეინა (23), 1:1 კანიკი (81)

**კოტბუსი 2:0 უნტერჰახინგი**
1:0 კიოიო (32), 2:0 რადუ (54)

**ბრაუნშვაიგი 0:0 ბოხუმი**

**ფრაიბურგი 3:1 ზაარბრიუკენი**
1:0 ტანკო (35), 2:0 ანტარი (49), 2:1 ამრი (61), 3:1 აოგო (88)
**ფრაიბურგი:** გოლცი, ოლაიენგბესი, იბერსტბერგერი, დიარა, აოგო, ანტარი, რიტერი (ჰანსენი 21; ჰერმელი 80), კულიბალი, სანუ (კრუპკე 73), ტანკო, **იაშვილი**
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**დინამო დრ : ალემანია**
*დღეს გაიმართება*

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XIII ტური

ვატენშტაიდი — ესენი 2:2; ოსნაბრიუკი — კიოლნი (მ) 2:0; ხემნიცი — ვერდერი (მ) 1:0; ჰერტა (მ) — ემდენი 3:1; კილი — ზტ. პაული 4:1; ლევერკუზენი (მ) — ლიუბეკი 6:2; მიუნსტერი — ერფურტი 2:2; ვუპერტალი — ფორტუნა 1:1; კარლ ცაისი — ჰამბურგი (მ) 2:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა
სამხრეთ რეგიონალლიგა
XI ტური

ლაუტერნი (მ) — ტრირი 0:0; შტუტგარტი (მ) — ვეენი 2:1; კობლენცი — ჰოფენჰაიმი 1:0; მიუნხენი (მ) — აალენი 1:4; კარლსრუე (მ) — რეგენსბურგი 2:0; ეშბორნი — ფულენდორფი 0:2; ბაირუთი — ბაიერნი (მ) 4:0; დარმშტადტი — ელვერსბერგი 1:1; აუგსბურგი — კიკერსი 2:0

# დელ პიერომ სამი ქულა მოჭრა



ალესანდრო დელ პიერომ ლამაზიც გაიტანა და ერთადერთიც

## იტალია

### სერია A. VII ტური

**იუვენტუსი 1:0 მესინა**

1:0 დელ პიერო (24)
იუვენტუსი: აბიატი, კანავარო, ტურამი, პესოტო, ძამბროტა, ნედვედი (კიელინი 74), ჯანიკედა, ემერსონი, მუტუ (კამორანეზი 57), დელ პიერო (ტრეზეგე 82), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მესინა: სტორარი, რეზაი, ზორო (სკული 73), არონიკა, ძანკი, კრისტანტე, კოპოლა, დონატი, ჯამპა, დაგოსტინო (დი ნაპოლი 63), ძამპანა (მუსლიმოვიჩი 63)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ტურამი, ძანკი, კრისტანტე, დონატი, კანავარო, კოპოლა
მსაჯი: ბერგონსი
30 097 მაყურებელი

**სიენა 2:3 უდინეზე**

0:1, 0:2, 0:3 დი მიკელე (26, 31, 47), 1:3 კიეზა (53), 2:3 ბერტოტო (67ს.კ.)
სიენა: მირანტე, ლეგროტალიე, ნეგრო (ბოგდანი 61), პორტანოვა, ალბერტო, დავერსა, ტუდორი, ფალსინი, ლოკატელი (პარო 81), მარაცინა (ნანი 69), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე
უდინეზე: დე სანქტისი, სენსინი, ბერტოტო, ფელიპე, დ. ძენონი, ვიდიგალი, ობოდო, მაური (პინცი 58), მუნტარი, იაკინტა, დი მიკელე (ჟუარესი 90)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: სენსინი, მუნტარი, ოდობო, ობოდო, ტუდორი, ვიდიგალი, ალბერტო, დ. ძენონი
გაძევება: ობოდო (88)
მსაჯი: ტალიავენტო
7 000 მაყურებელი

**ინტერი 5:0 ლივორნო**

1:0 მატერაცი (11), 2:0 კრუზი (20), 3:0 კამბიასო (49), 4:0 კორდობა (51), 5:0 რეკობა (61)
ინტერი: ტოლდო, მატერაცი (ბუდისო 63), კორდობა (ფიგუ 68), ფავალი, სამუელი, ზე მარია, კამბიასო, ვერონი, სოლარი, კრუზი, რეკობა (ვომე 73)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლივორნო: ამელია, ვარგასი, გრანდონი, გალანტე, სეზარი, მორონი, კოლუჩი (პფერცელი 50), კოკო, დე აშენტისი, ლაზეტიჩი (პალადინო 46), ბაკაიოკო (პასონი 65)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაძევება: კოკო (47)
მსაჯი: როდომონტი
51 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 რომა**

1:0 ტავანო (59)
ემპოლი: ბერტი, კოდა, ლუჩინი, პრატალი, ბონეტო, ალმირონი, ფიჩინი, ბუსკე, ვანუკი (სერაფინი 61), ტავანო (რაგი 76), რიგანო (მორო 29)
მწვრთნელი: მარიო სომა
რომა: კურჩი, კუფური, პანუჩი (ალვარესი 81), მექსეში (მონტელა 46), კივუ (ბოვო 53), დე როსი, ტოტი, დაკური, მანსინი, ტადეი, ნონდა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მექსეში, ტოტი, ბოვო
გაძევება: ლუჩინი (28)
მსაჯი: პიერი
10 000 მაყურებელი

**ასკოლი 2:1 სამპდორია**

1:0 ტოსტო (45), 1:1 ბონაცოლი (54), 2:1 ტოსტო (79)
ასკოლი: კოპოლა, კუდინი, კომოტო, დომიცი, ტოსტო, ფოჯა (ფერანტე 80), გუანა, პაროლა, ფინი (დელ გროსო 69), ბიელანოვიჩი, კალიარელა (კარიელო 59)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
სამპდორია: ანტონიოლი, კასტელინი, ძენონი (ბორიელო 80), ფალკონე, პისანო (კუტუზოვი 71), გასბარონი (დიანა 62), ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ფლაკი, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: პაროლა, ტოსტო, კასტელინი
მსაჯი: საკანი
12 000 მაყურებელი

**ლაციო 1:0 ფიორენტინა**

1:0 ძაური (81)
ლაციო: პერუცი, კრიბარი, ოდო, სტენდარდო, ძაური, ბეხრამი, დაბო, ლივერანი, სეზარი (მანფრედინი 69), დი კანიო (პანდევი 58), როკი (ს. ინძაგი 80)
მწვრთნელი: დელიო როსი
ფიორენტინა: ფრეი, დი ლორეტო, უიფალუში, გამბერინი (დაინელი 83), პანკარო, დონადელი, ბროკი, ფიორე, პასკუალი (ბოჟინოვი 75), პაცინი (იორგენსენი 46), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: პანკარო, დი ლორეტო, დი კანიო, დონადელი
მსაჯი: რიცოლი
25 000 მაყურებელი

**პალერმო 2:2 კიევო**

1:0 კორინი (15პ), 1:1, 1:2 ამაური (18, 39პ), 2:2 კარაჩოლო (90)
პალერმო: სანტონი, ტერლიცი, ბიავა, ძაკარდო, გროსო, სანტანა, ბარონე (მუტარელი 77), კორინი, ბონანი (ბრიენცა 46), მაკინვა (პეპე 46), კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
კიევო: ფონტანა, მორო, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი (ლუსიანო 90), სამარკო, ჯუნტი, ფრანჩესკინი, ობინა (პელისიერი 77), ამაური
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: მორო, ჯუნტი, ფრანჩესკინი, დიავა, გროსო
გაძევება: ბიავა (90)
მსაჯი: როკი
27 500 მაყურებელი

**პარმა 1:1 ტრევიზო**

1:0 სიმპლიციო (34), 1:1 ფავა (67)
პარმა: ბუჩი, კოუტუ, კარდონე, პონტინი, პასკუალე, სიმპლიციო, გრელა, სიგარინი (ბრეშიანო 64), პ. კანავარო (მარკიონი 73), დედიჩი, კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტი
ტრევიზო: ძანკოპე, დელაფიორე, ვიალი, კოტაფავა, გალეოტო, ა. ფილიპინი (რეგინალდო 60), გალო, პარავიჩინი, დოსენა (ჯულიატო 85), კინგა, ფავა (ბეგეტო 82)
მწვრთნელი: ეციო როსი
გაფრთხილება: კოუტუ, პასკუალე, კორადი, ფავა, კოტაფავა, დოსენა, ბეგეტო
მსაჯი: ჯანოკარო
11 000 მაყურებელი

**რეჯინა 2:0 ლეჩე**

1:0 ტედესკო (14), 2:0 კოცა (52)
რეჯინა: პავარინი, კანარსა, დე როსა, ლუკარელი, მესტო, ბონდინი (რიგონი 71), ტედესკო, ვიჯანი, მოდესტო, კავალი (ამორუზო 78), კოცა (მისიროლი 68)
მწვრთნელი: ვალტერ მაცანი
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენი, სტოვინი, აბრუცეზე (რულო 63), მარიანინი, ლედესმა, პინარდი, კონანი, ვალდესი (პელე 58), ვუჩინიჩი (ანჯელო 60)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: აბრუცეზე, ლედესმა, პავარინი, პინარდი, ტედესკო, პინარდი, პელე
გაძევება: პინარდი (70)
მსაჯი: ტრეფოლონი
9 000 მაყურებელი

**კალიარი 0:2 მილანი**

0:1 ჯილარდინო (1), 0:2 შევჩენკო (27)
კალიარი: კარინი, კანინი, ლოპესი (პისანო 66), ბეგა, აგოსტინი, კონტიკიო (ლანჯელა 31), აბეიხონი (კოსუ 31), ბუდელი, გობი, ესპოზიტო, სუაზო
მწვრთნელი: დანიელე არიგონე
მილანი: დიდა, სტამი, მალდინი, კოსტაკურტა, სერჟინიო, გატუზო, ფოგელი, ზეედორფი, რუი კოშტა (კაკა 67), შევჩენკო (ინძაგი 82), ჯილარდინო (იანკულოვსკი 78)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ლოპესი, სერჟინიო
მსაჯი: მესინა
21 000 მაყურებელი

**ტურინის** „იუვენტუსმა“ მიჯრით მეშვიდე მატჩი მოიგო და კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. „ბებერი ქალბატონის“ მორიგი მსხვერპლი „მესინა“ გახდა. ანგარიში მოკრძალებულია, მაგრამ თამაში დამაჯერებელი. ფაბიო კაპელოს გუნდი სრულ უპირატესობას ფლობდა და უფრო დიდი სხვაობითაც უნდა მოეგო, მაგრამ...

გამარჯვების გოლი კი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა. „იუვეს“ კაპიტანს ეს ძალიან ლამაზად გამოუვიდა — მან ორი მცველი ჩამოიშორა და დრიბლინგი მშვენიერი მოჭრილი დარტყმით დაასრულა, ბურთი კი მეკარისგან შორეულ მაღალ კუთხეში შევარდა.

მოლდოვასთან სანაკრებო მატჩის დარად, დელ პიერო „მესინასთანაც“ ძალიან აქტიური იყო და მოწონებაც დაიმსახურა. მის გარდა კი გოლის გატანა იბრაჰიმოვიჩს, ემერსონს, ნედვედს, კამორანეზისა და მოედანზე სულ რვა წუთით შესულ ტრეზეგესაც შეეძლოთ.

„დელ პიერომ უიშვიათესი გოლი გაიტანა და მთლიანობაში გუნდითაც კმაყოფილი ვარ. მინდა, ჯულიანო ჯანიკედა და ადრიან მუტუ გამოვარჩიო, ისინი თითოეული ბურთისთვის იბრძოდნენ“ — თქვა ნამატჩევს კაპელომ.

შაბათსვე გაიმართა „სიენასა“ და „უდინეზეს“ შეხვედრა. უდინელებმა მშვენივრად იბურთავეს, განსაკუთრებით დავიდე დი მიკელემ, რომელმაც 47-ე წუთისთვის ჰეთ თრიქის შესრულება მოასწრო და მასპინძლებს საქმე მოუმთავრა. თუმც დარჩენილ დროში „სიენამ“ ორი ბურთის გაქვითვა შეძლო.

გაილაღა მილანის „ინტერმა“. „იუვენტუსთან“ წაგების ჯავრი „ნერო აძურიმ“ „ლივორნოზე“ იყარა და, მიუხედავად ადრიანოს არყოფნისა, 5 გოლი გაიტანა, თანაც მეტიც შეეძლო. გამორჩეულით კი ალვარო რეკობა უნდა გამოვარჩიოთ. ბოლო დროს ათამაშებულმა ურუგვაელმა გოლიც შეაგდო და მშვენიერი პასებიც არიგა.

„ლაციომ“ ლუჩანო ძაურის გვიანი გოლით მძიმე ბრძოლა მოუგო „ფიორენტინას“. ფლორენციელებმა კარგად ითამაშეს და ქულასაც იმსახურებდნენ, მაგრამ ვეტერანმა ანჯელო პერუციმ ყველაფერი მოიგერია, რაც კი კარისკენ წავიდა. ძალიან ეფექტური იყო, როდესაც პერუციმ ვილფრედ ბოუმას ახლოდან თავით დარტყმული უკუაგდო ცალი ხელით.

მორიგი სიურპრიზი გამოაცხო „რომამ“. დედაქალაქელებმა ისევ უნიათოდ იბურთავეს და 27-ე წუთის მერე ათი კაცით მოთამაშე „ემპოლისთან“ წაგება მოახერხეს.

და ბოლოს, სარდინიაზე რთული გასვლა მოიგო „მილანმა“. შეიძლება ითქვას, რომ კარლო ანჩელოტის გუნდს გაუმართლა — უკვე 25-ე წამზე ალბერტო ჯილარდინომ მასპინძელთა დაცვის შეცდომით ისარგებლა და... „როსონერი“ უკეთეს დასაწყისს ვერც წარმოიდგენდა.

27-ე წუთზე კი გოლის გემო გაიხსენა ანდრეი შევჩენკომ და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტა. არადა, „კალიარის“ „სანტ ელიაზე“ 2004 წლის ოქტომბრიდან არ წაეგო. გუშინდლამდე ბოლო საშინაო მარცხი კი ისევ და ისევ „მილანისგან“ ჰქონდა ნაწვნევი.

**კოკი კანდელაკი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 7 | 7 | 0 | 0 | 13:2 | 11 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 |
| 2 მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 |
| 3 ინტერი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 10 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 12 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 4 ფიორენტინა | 7 | 4 | 1 | 2 | 14:10 | 4 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:5 | 4 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 |
| 5 ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 6 სამპდორია | 7 | 4 | 0 | 3 | 14:10 | 4 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 6 |
| 7 პალერმო | 7 | 3 | 3 | 1 | 13:12 | 1 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:6 | 2 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 8 უდინეზე | 7 | 4 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 9 კიევო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 |
| 10 ლივორნო | 7 | 3 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 4 |
| 11 სიენა | 7 | 3 | 1 | 3 | 14:14 | 0 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 9:8 | 1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 12 ემპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 13 ასკოლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 14 რომა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:6 | 3 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:1 | 2 | 5 |
| 15 რეჯინა | 7 | 2 | 0 | 5 | 8:12 | -4 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 0 |
| 16 პარმა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 17 ლეჩე | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 |
| 18 მესინა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 |
| 19 კალიარი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | -8 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 20 ტრევიზო | 7 | 0 | 2 | 5 | 2:12 | -10 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | -5 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბონაცოლი (სამპდორია) | 7 |
| ტონი (ფიორენტინა) | 6 |
| კიეზა (სიენა) | 6 |
| ტავანო (ემპოლი) | 5 |
| შევჩენკო (მილანი) | 5 |

### VIII ტური

22-23 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| კიევო | : | კალიარი |
| ფიორენტინა | : | პარმა |
| ლეჩე | : | იუვენტუსი |
| ლივორნო | : | რეჯინა |
| მესინა | : | ასკოლი |
| მილანი | : | პალერმო |
| რომა | : | ლაციო |
| სამპდორია | : | სიენა |
| ტრევიზო | : | ემპოლი |
| უდინეზე | : | ინტერი |

## სერია B

### X ტური

**ტრიესტინა 2:1 მოდენა**

0:1 ასამოა (28), 1:1, 2:1 გოდეასი (49პ, 57პ)

**ბარი 2:1 ატალანტა**

0:1 სონჩინი (15), 1:1 სანტორულო (25), 2:1 გაცი (90)

**ალბინოლეფე 2:0 აველინო**

1:0, 2:0 ბონაცი (18პ, 54)

**ბოლონია 4:1 ვიჩენცა**

1:0 ჩიპრიანი (18), 2:0 ბელუჩი (30), 3:0 პეკია (63), 3:1 დრაშეკი (78), 4:1 ბელუჩი (90)

**მანტოვა 3:0 კატანია**

1:0 სომეზე (9), 2:0 ტარანა (73), 3:0 ნოსელი (86)

**პესკარა 0:3 ბრეშა**

0:1 მილანეტო (33პ), 0:2 ბრუნო (60), 0:3 მილანეტო (77)

**პიაჩენცა 2:2 ჩეზენა**

0:1 პინტო (6), 1:1 კაჩა (22), 2:1 ჯანკი (73პ), 2:2 ბერნაკი (79)

**რიმინი 2:0 კრემონეზე**

1:0 მოტა (35), 2:0 პორკა (90)

**ვერონა 1:1 არეცო**

0:1 როსელი (47), 1:1 ტურატი (60)

**კატანძარო — კროტონე**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 10 | 7 | 3 | 0 | 17:6 | 24 |
| მოდენა | 10 | 5 | 4 | 1 | 11:5 | 19 |
| ჩეზენა | 10 | 6 | 1 | 3 | 18:14 | 19 |
| ტორინო | 9 | 5 | 3 | 1 | 9:3 | 18 |
| ტრიესტინა | 10 | 5 | 3 | 2 | 10:5 | 18 |
| ატალანტა | 10 | 6 | 0 | 4 | 14:13 | 18 |
| ბრეშა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:9 | 16 |
| ვერონა | 10 | 4 | 4 | 2 | 10:6 | 16 |
| კატანია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| ბოლონია | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| კროტონე | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| არეცო | 10 | 3 | 5 | 2 | 11:8 | 14 |
| რიმინი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | 13 |
| პიაჩენცა | 10 | 3 | 4 | 3 | 13:14 | 13 |
| პესკარა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | 11 |
| ბარი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| ალბინოლეფე | 10 | 1 | 5 | 4 | 7:10 | 8 |
| ვიჩენცა | 10 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 8 |
| აველინო | 10 | 2 | 2 | 6 | 9:18 | 8 |
| კრემონეზე | 10 | 1 | 3 | 6 | 7:14 | 6 |
| ტერნანა | 10 | 1 | 3 | 6 | 5:16 | 6 |
| კატანძარო | 9 | 1 | 1 | 7 | 5:14 | 4 |

## სერია C1/A

### VIII ტური

ჩიტადელა — ტერამო 0:1; ჯენოა — პრო პატრია 2:0; ჯულიანოვა — ფერმანა 1:1; ლუმეცანე — სპეცია 2:2; მონცა — ნოვარა 0:0; პადოვა — სალერნიტანა 2:0; პავია — სამბენედეტეზე 2:0; რავენა — პრო სესტო 0:1; სან მარინო — პიციგეტონე 2:1

## სერია C1/B

### VIII ტური

აჩირეალე — ჯელა 0:0; კიეტი — ლუკეზე 1:1; ფროზინონე — სტაბია 3:2; მასეზე — ლანჩიანო 0:0; ნაპოლი — მანფრედონია 3:0; პიზა — პერუჯა 1:1; პისტოიეზე — ფოჯა 0:0; ტორესი — გროსეტო 1:1; სანჯოვანეზე — მარტინა

# ბარსელონა დუელში მოკლეს

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. VII ტური

**დეპორტივო 3:3 ბარსელონა**

1:0 ვალერონი (9), 1:1 ეტოო (41), 1:2, 1:3 რონალდინიო (44, 51პ), 2:3 მუნიტისი (71), 3:3 რუბენი (86)
**დეპორტივო:** მოლინა, მ. პაბლო, ანდრადე (ხუანმა 34), კაპდევილა, კოლოჩინი, დუშერი, დე გუზმანი, სერხიო, ვალერონი (რუბენი 56), ტრისტანი (ტაბორდა 53), მუნიტისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
**ბარსელონა:** ვალდესი, მარკესი (ედმილსონი 46), პუიოლი, ბელეტი, სილვინიო, ოლეგერი, ხავი, რონალდინიო, დეკო, ჟიული (ესკერო 75), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: ტრისტანი, მარკესი, მოლინა, სილვინიო, მუნიტისი, ჟიული, კოლოჩინი, ედმილსონი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
34 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:3 რეალი**

0:1, 0:2, 0:3 რონალდო (7პ, 60, 90)
**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ველასკო, ა. ლოპესი, პაბლო, პერეა, ზაინოსი, ლუჩინი, ფ. ტორესი, კეჟმანი (გაბი 66), მაქსი (ვალერა 66), პეტროვი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
**რეალი:** კასილიასი, რ. კარლოსი, მ. სალგადო (დიოგო 41), სერხიო რამოსი, ელგერა, ზიდანი (გუტი 55), ბაპტისტა (რობინიო 70), პაბლო გარსია, ბექემი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: კეჟმანი, ლუჩინი, პაბლო, სერხიო რამოსი, პ. გარსია, პეტროვი, ველასკო
გაძევება: ლოპესი (6)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
50 000 მაყურებელი

**ალავესი 1:1 ვილიარეალი**

0:1 როხერი (4), 1:1 ნენე (11)
**ალავესი:** კოსტანსო, პელეგრინო, დ. კორომინა, ხუანიტო, გასპარი, ვესლი (ლაკენი 65), კარპინტერო, ასტუდილიო, ნენე, რ. ნავარო (ხანდრო 54), ბოდიპო (ალოიზი 73)
მწვრთნელი: კუკი კოსი
**ვილიარეალი:** ვიერა, გონსალო, არუაბარენა, სორინი (კაზორლა 65), ხავი ვენტა, კ. არსო, ხოსიკო (ტაკინარდი 73), როხერი, სენა (ექტორ ფონტი 77), ლუჩო, ხოსე მარი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინო
გაფრთხილება: პელეგრინო, გასპარი, გონსალო, ხოსე მარი, არსო, არუაბარენა, კაზორლა
მსაჯი: მეხია დავილა
13 231 მაყურებელი

**ვალენსია 2:1 მალაგა**

1:0 აიალა (10), 1:1 სალვა (64), 2:1 ვისენტე (66)
**ვალენსია:** კანისარესი, აიალა, მიგელი, ფ. აურელიო, მარჩენა, ალბელდა, ბარახა (უგოვიანა 85), ვისენტე (რუფეტე 87), ანგულო, მისტა, დი ვაიო (რეგუერო 63)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
**მალაგა:** არნაუ, ალექსისი (იდალგო 66), ს. ნავასი, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ნაჩო, ხ. როდრიგესი (ანდერსონი 59), ედგარი, ჩენგე (კუნაგო 69), სალვა
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: ფ. აურელიო, ბარახა, მარჩენა, ჩენგე, როდრიგესი
მსაჯი: პერეს ლასა
45 000 მაყურებელი



რონალდინიოს დუბლი „ბარსელონას“ ვერ ეყო

**ოსასუნა 2:0 სელტა**

1:0 მილოშევიჩი (48), 2:0 ვებო (83)
**ოსასუნა:** რიკარდო, კლავერო, ისკიერდო, კუელარი, ხოსეჩო, რ. გარსია (მუნიოსი 70), მოა, დ. ლოპესი, ნ. სოსა (პუნიალი 59), მილოშევიჩი, რომეო (ვებო 61)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
**სელტა:** პინტო, ანხელი, კონტრერასი, პლასენტე, სერხიო, გ. ლოპესი (პერერა 77), ოუბინა, სილვა, ხონათანი (დე რიდერი 70), ირინეი, ბაიანო (ხ. გერერო 6)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: მ. სოსა, კლავერო, ხოსეჩო, მოა, ანხელი, ირინეი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
14 592 მაყურებელი

**ბეტისი 1:0 ხეტაფე**

1:0 ოლივეირა (17პ)
**ბეტისი:** ტონი, ვარელა (მ. ანხელი 65), ხუანიტო, ნანო, ო. ლოპესი, კასტელინი, რივერა, ასუნსაო, ხისკო (ხუანლუ 46), ედუ, ოლივეირა (დანი 70)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
**ხეტაფე:** ლუისი, ბელენგერი, მ. პერნია, რ. პულიდო, ანიბალი, კუბილიო (პაჩონი, დ. რივასი, მ. კოტელო (პაუნოვიჩი 60), გავილანი (რედონდო 75), რიკი, გუიზა
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ნანო, ლუისი, დანი, დ. რივასი, ანიბალი, ბელენგერი, გუიზა, დ. რივასი
გაძევება: დ. რივასი (88)
მსაჯი: ლისონდო კორტესი
31 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:0 რასინგი**

*არანგომ ვერ გაიტანა პენალტი (4)*
**მალიორკა:** პრატსი, ბორხა, ფ. ნავარო, კორტესი, ტუსიო, იულიანო, დონი (ფარინოსი 64), არანგო (ხორდი 60), ხონასი, ტუნი, ვიქტორი (ხუტოსი 68)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
**რასინგი:** აუატე, პინილიოსი, აიოზე (ნერუ 45), მორატონი, სამუელი, ვიტოლო, შ. დალმა (ფელიპე 46), ხ. კასკერო, აგანსო, ო. სერანო, ანტონიტო (ვ. დალმა 70)
მწვრთნელი: მანოლო პრესიატო
გაფრთხილება: აიოზე, სამუელი, იულიანო, ფ. ნავარო, ვიტოლო, ნერუ, ო. სერანო, ფელიპე, მორატონი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
10 500 მაყურებელი

**სარაგოსა 0:1 სოსიედადი**

0:1 პრიეტო (12პ)
**სარაგოსა:** სეზარი, ალვარო, ტოლედო, მილიტო, მოვილია, სავიო, პონციო, ოსკარი (ს. გარსია 61), ზაპატერი (ხენერლო 81), ევერტონი (კანი 46), დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
**სოსიედადი:** რიესგო, ლაბაკა, აიტორი, ხაურეგი, ნოვო (ლარეა 81), არანბურუ, გარიდო, მ. ალონსო, პრიეტო (გარიტანო 58), ნიჰატი, გარი (გაბილონდო 83)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: ალვარო, მილიტო, აიტორი, არანბურუ, არაბურუ
გაძევება: არანბურუ (71)
მსაჯი: მორენო დელ გადო
29 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:2 კადისი**

0:1 პავონი (65), 0:2 ხონათანი (80)
**ესპანიოლი:** კამენი, დ. გარსია, სა, ლოპო, ხარკე, ე. კოსტა (ს. ხონათანი 61), დე ლა პენია, იტო, ხუანფრანი (ხოფრე 57), ლუის გარსია, ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**კადისი:** არმანდო, რ. ლოპესი, დე ლა კუესტა, დე კინტანა, ვარელა, სუარესი, მ. პავონი (ოლი 67), ბესარესი, ენრიკე (ესტოიანოფი 57), ხონათანი (ბენხამინი 81), მედინა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: ლოპო, სუარესი, ესტოიანოფი
გაძევება: სა (88)
მსაჯი: პერეს ბურული
21 950 მაყურებელი

**ბილბაო 0:1 სევილია**

0:1 ალვესი (44)
**ბილბაო:** არანსუბია, პრიეტო (მურილიო 53), ორბაისი, ლაკრუსი, ტარანტინო, ტიკო (ხ. გონსალესი 84), ტარანტინო, იესტე (გერერო 70), ირაოლა, ურზაიზი, ლორენტე, ეჩევერია
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
**სევილია:** პალოპი, დავიდი (პუერტა 70), ხ. ნავარო, აიტორ ოსიო, დ. ალვესი, ხ. ნავასი, ადრიანო (ალფარო 86), მარტი, მარესკა, სავიოლა (კეპა 74), კანუტე
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დავიდი, ადრიანო, ტარანტინო, ეჩებერია, ტარანტინო
გაძევება: ტარანტინო (76)
მსაჯი: პინო სამორანო
27 000 მაყურებელი

**პრიმერადივიზიონს** ახალი ლიდერები ჰყავს — პამპლონის „ოსასუნა“ და „რეალი“. ნავარელებმა სავო მილოშევიჩისა და ვებოს გოლებით დაამარცხეს ლიდერობის სხვა მაძიებელი „სელტა“, ხოლო „ხეტაფე“, რომელიც ექვსი ტურის მერე სათავეში ედგა ცხრილს, სევილიაში დამარცხდა „ბეტისთან“. იქ ერთადერთი გოლი პენალტით რიკარდო ოლივეირამ გაიტანა, თავად მატჩი კი გვარიანად უხეში იყო — რვა ყვითელი და ერთიც წითელი ბარათი.

თუმცა ეს ყველაფერი კვირა საღამოს გაირკვა, როცა ტურის ყველა მატჩი დამთავრდა, შაბათ საღამოს კი ცხრილს „რეალი“ მარტო ლიდერობდა.

„რეალი“ განთქმულ მადრიდულ დერბიში „ვისენტე კალდერონს“ სტუმრობდა და როგორც ბოლო წლებში დასჩემდა, გაიმარჯვა. ანგარიში 3:0 გამარჯვებულის აშკარა უპირატესობაზე მიგვანიშნებს, თუმცა შეგვიძლია ასეც ვთქვათ — მსაჯმა თამაში თავიდანვე წაახდინა და „რეალის“ გამარჯვება უდავო გახადა.

აი, რა მოხდა: მეექვსე წუთზე რაული მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა და ბურთი მარჯვენა ფეხზე მოიგდო. ალბათ გაიტანდა კიდეც, ლოპესს რომ არ წაექცია. მსაჯს პენალტი რომ უნდა დაენიშნა, საკამათო არ უნდა იყოს, მაგრამ პენალტთან ერთად დამნაშავის გაძევებამ თამაშს ინტრიგა დაუკარგა. მატჩის წახდენაშიც სწორედ ამას ვგულისხმობთ.

მოკლედ, პენალტი ლოპესმა მეექვსე წუთზე აიკიდა, რონალდომ კი დარტყმა მეცხრეზე შეძლო — სამი წუთი საქმის გარჩევას მოჰყვა და კიდევ ერთი ატლეტიკოელი, მატია კეჟმანი კამათისთვის გაყვითლდა.

რონალდომ პენალტი გაიტანა, მეორე ტაიმში კიდევ ორი შეაგდო და ჰეთ თრიქი გაიფორმა.

მთლიანობაში მატჩი, „რეალის“ ქომაგთა კმაყოფილებას თუ არ გავითვალისწინებთ, უკეთესიც შეიძლებოდა გამოსულიყო, ზინედინ ზიდანი თავის აჩრდილს ჰგავდა, ხოლო რობინიოს სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა ვანდერლეი ლუშემბურგომ საჭიროდ არ ჩათვალა.

სადღეისოდ „რეალი“ „ბარსელონას“ ხუთი ქულით უსწრებს. კატალონიელები ამ ტურში ლა კორუნიაში თამაშობდნენ და იმდენი მოახერხეს, ფაქტობრივად მოგებულ თამაშში ერთი ქულა [illegible] ასა, სხვა რა ვთქვათ, როცა [illegible] ორი ბურთით იგებს [illegible] თვის საშუალება [illegible]

თუმცა, სანამ ორი ბურთით დაწინაურდებოდა, „ბარსელონა“ აგებდა — „დეპორტივო“ მეცხრე წუთზე ხუან კარლოს ვალერონმა დააწინაურა.

ამის მერე „ბარსა“ საკმაო უპირატესობას ფლობდა და შესვენებაზე წელგამართული გავიდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე სამუელ ეტოომ და რონალდინიომ თითო გოლი შეაგდეს. ეტოომ დეკოსთან გაითამაშა კედელი და თვე გაიტანა, რონალდინიოს გოლიც ეტოოს საუცხოო გარღვევას და ზუსტ პასს მოჰყვა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც სტუმრებისა იყო. რონალდინიომ და ეტოომ რამდენიმე კარგი მომენტით ვერ ისარგებლეს. ამის მერე დეკოს ჯერი დადგა, რომელიც ხოსე მოლინამ საჯარიმოში წააქცია, პორტუგალიელმა კი პენალტის დარტყმა ჩვეულებისამებრ რონალდინიოს ანდო და — 1:3.

რა მოხდა ამის მერე, მოყოლა თავად ბარსელონელებს მივანდოთ და კლუბის ოფიციალური საიტიდან სიტყვა-სიტყვით გადმოვიწეროთ: მატჩის დარჩენილი ნაწილი „ბარსას“ კლასსა და „დეპორის“ მონდომებას შორის დუელში გაილია. გამარჯვება „დეპორს“ დარჩა, რომელმაც მუნიტისის და რუბენის გოლებით მოულოდნელ ფრეს მიაღწია.

**კოტე კეკელია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რეალი | 7 | 5 | 0 | 2 | 17:6 | 11 | 15 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 6 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 9 |
| 2 ოსასუნა | 7 | 5 | 0 | 2 | 9:5 | 4 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 12 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 3 ხეტაფე | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 |
| 4 სელტა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 |
| 5 ვალენსია | 7 | 3 | 3 | 1 | 12:10 | 2 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 10 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 6 ბარსელონა | 7 | 2 | 4 | 1 | 14:10 | 4 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 |
| 7 დეპორტივო | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 1 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 8 სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 |
| 9 ვილიარეალი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 |
| 10 კადისი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 |
| 11 სევილია | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 0 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 12 ბეტისი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 13 სარაგოსა | 7 | 1 | 5 | 1 | 8:7 | 1 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 14 რასინგი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:4 | -1 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 0 | 5 |
| 15 მალაგა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 |
| 16 ატლეტიკო | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | -3 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 |
| 17 ესპანიოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | -4 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 18 ალავესი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 19 ბილბაო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 20 მალიორკა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | -7 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | -6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 7 |
| რონალდო (რეალი) | 7 |
| ვილა (ვალენსია) | 6 |
| ბაიანო (სელტა) | 5 |

**VIII ტური**
22-23 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი | : | მალიორკა |
| სევილია | : | ალავესი |
| კადისი | : | ბილბაო |
| სელტა | : | ესპანიოლი |
| ბარსელონა | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | დეპორტივო |
| ხეტაფე | : | სარაგოსა |
| მალაგა | : | ბეტისი |
| რეალი | : | ვალენსია |
| რასინგი | : | ატლეტიკო |

### სეგუნდადივიზიონი

**VIII ტური**

**კასტელონი 0:0 ვალიადოლიდი**

**ხიმნასტიკი 1:2 ფეროლი**
0:1 სანსი (23), 0:2 გრანონი (53), 1:2 ბუადესი (64)

**უელვა 2:2 პოლი ეხიდო**
1:0 უჩე (13), 1:1 ტოედტლი (34), 2:1 უჩე (71), 2:2 კეკო (85)

**მალაგა B 0:0 ლევანტე**

**ალბასეტე 1:2 ელჩე**
0:1 ნინო (40), 0:2 ფრანკოვსკი (58), 1:2 გატო (89)

**ხერესი 3:1 ტენერიფე**
0:1 ფაგიანი (29), 1:1 პენდინი (34), 2:1 კამუნასი (48), 3:1 გეიხო (54)

**ნუმანსია 1:0 სპორტინგი**
1:0 ნავასი (83)

**მურსია 2:0 ლეიდა**
1:0 სამუელი (18პ), 2:0 რიკი (67)

**რეალი B 1:2 ლორკა**
0:1 კარლოსი (49), 0:2 პერონა (51), 1:2 სოლდადო (90)

**ალმერია 1:1 ეიბარი**
1:0 მიჩელი (28), 1:1 ასკოიტია (42)

**ჰერკულესი 2:1 სიუდადი**
1:0 კურო (40ს.კ.), 2:0 მოისესი (61პ), 2:1 ამოია (69პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:9 | 19 |
| მურსია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:3 | 17 |
| ტენერიფე | 8 | 5 | 0 | 3 | 14:13 | 15 |
| უელვა | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 |
| ვალიადოლიდი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:9 | 14 |
| ლორკა | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 13 |
| ელჩე | 8 | 4 | 1 | 3 | 12:11 | 13 |
| ლევანტე | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| სპორტინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 11 |
| ალმერია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| ერკულესი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ალბასეტე | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| სიუდად მურსია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 |
| ნუმანსია | 8 | 3 | 2 | 3 | 8:13 | 11 |
| პოლი ეხიდო | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| ხიმნასტიკი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | 9 |
| ფეროლი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:14 | 8 |
| რეალ B | 8 | 2 | 1 | 5 | 13:13 | 7 |
| ლეიდა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:9 | 7 |
| მალაგა B | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ეიბარი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 |
| კასტელონი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:8 | 5 |

# გვიდოლინიმ მიიტანა

„**მონაკოს**“ ამ სეზონში შინ გოლი არ გაეტანა, მაგრამ ახალ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის ხელში ნავნი გატეხა და სამი შეაგდო. იტალიელს დებიუტი საუცხოო გამოუვიდა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს მისავათებული „მეცის“ ძლევა არ უნდა გასჭირვებოდათ. შეცვლაზე შესულმა დევიდ გილიოტიმ ანგარიში გახსნა, სამ წუთში ზიკოსმა სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო მოგვიანებით კამელ მერიემმა პირველი მონაკოური გოლი მიითვალა.

ცხრილში „მეცის“ მეზობელი „სტრასბური“ მეკარე სტეფან კასარდმა დაალალატა. იგი კარიდან გამოვიდა და რენელმა ჯიმი ბრიანდმა დაახლოებით 35 მეტრიდან გაუტანა.

„ნანტის“ ფანებმა „სენტ ეტიენთან“ მატჩის შემდეგ მწვრთნელ სერჟ ლე დიზეს უსტვინეს, რადგან გუნდის უსახურ თამაშს მას აბრალებენ. რუმინელი ფორვარდმა კლაუდიუ კესერუმ მასპინძლები მესამე წუთზე დააწინაურა, გოლი კი ასე გავიდა: მეკარე ლანდრიმ მამადუ დიალოს მიაწოდა, დიალომ კესერეს, რუმინელმა კი ბურთი ჟერემი ჟანოს თავზე გადაავლო და კარში ჩაეშვა.

მეათე წუთზე ნანცელმა ნიკოლა სინომ თავის კარში გაიტანა და „სენტ ეტიენს“ ქულა აჩუქა.

ჟაკ სანტინის „ოსერი“ „ტრუას“ იოლად გაუსწორდა. ოსერელებმა სამი გაიტანეს და ორი ამდენი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

„ბორდოს“ მეორე ადგილზე გასვლის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ „სოშოსთან“ ფრეს დასჯერდა. მასპინძელმა მენესმა ანგარიში გახსნა, ხოლო სოშოელთა არგენტინელმა ალეხანდრო ალონსომ ბოლო წუთზე მახვილი კუთხიდან საგოლედ გაისროლა და თავის გუნდი მეშვიდე მარცხისგან იხსნა.

„ნანსიმ“, რომელსაც ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმის ხაზი ჰყავს, „ტულუზი“ ხელცარიელი გაისტუმრა. პაპე დიხატემ ნაკუთხურალი ბურთი შეაბრძანა სტუმართა კარში, ხოლო კროუპიმ ადაილტონის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

ლანსელები ნიცასთან ჯერ აგებდნენ, მერე დაწინაურდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა სულეიმან კამარამ არ მოაგებინათ. სებასტიან რუდემ მამადუ ბაგაიოკოს ჩაწოდებულს თავი ჰკრა და ანგარიში გახსნა. ალიუ დიარამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაათანაბრა, ხოლო ოლივიე ტომერმა გრეგორინის მოგერიებულს დაამატა და „ლანსი“ წინ გაიყვანა.

დამხვდურებს სამი ქულა უკვე მოყუჩებული ეგონათ. თუმც ნიცელთა მწვრთნელმა ფრედერიკ ანტონიმ შეცვლა გამოიცნო. სულეიმან კამარაშე შეუშვა, რომელმაც მინდორზე დაბიჯებიდან თოთხმეტ წუთში გაათანაბრა.

**გაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XI ტური

ნანტი — სტ. ეტიენი 1:1; ოსერი — ტრუა 3:0; ბორდო — სოშო 1:1; ლე მანი — ლილი 1:1; ლანსი — ნიცა 2:2; მონაკო — მეცი 3:0; ნანსი — ტულუზი 2:0; სტრასბური — რენი 0:1; ლიონი — აიაჩო 3:2; მარსელი — პსჟ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 11 | 8 | 3 | 0 | 18:8 | 27 |
| პსჟ | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| ბორდო | 11 | 5 | 5 | 1 | 11:6 | 20 |
| ოსერი | 11 | 6 | 1 | 4 | 14:15 | 19 |
| სტ. ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:6 | 17 |
| მონაკო | 11 | 5 | 2 | 4 | 10:9 | 17 |
| მარსელი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| ნანსი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:8 | 16 |
| ლილი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:9 | 16 |
| ლე მანი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:8 | 16 |
| ლანსი | 10 | 3 | 6 | 1 | 16:8 | 15 |
| ტულუზი | 11 | 4 | 2 | 5 | 9:13 | 14 |
| რენი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:22 | 14 |
| ნიცა | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| ნანტი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:9 | 12 |
| აიაჩო | 10 | 2 | 5 | 3 | 9:10 | 11 |
| ტრუა | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| სოშო | 11 | 2 | 3 | 6 | 5:12 | 9 |
| სტრასბური | 11 | 0 | 6 | 5 | 5:11 | 6 |
| მეცი | 11 | 0 | 4 | 7 | 4:18 | 4 |

### II დივიზიონი. XII ტური

ამიენი — რეიმსი 0:0; ბასტია — ლორიანი 1:1; კაენი — გრენობლი 1:1; შატორუ — სეტე 1:0; კრეტეი — ლავალი 3:1; ლე ავრი — სედანი 0:2; მონპელიე — ისტრი 3:1; ვალანსი — კლერმონი 3:0; გენიონი — დიჟონი 0:0; ბრესტი — გენგამი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 11 | 7 | 3 | 1 | 16:7 | 24 |
| კრეტეი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:9 | 22 |
| ბასტია | 11 | 6 | 3 | 2 | 17:8 | 21 |
| ლორიანი | 12 | 5 | 4 | 3 | 16:11 | 19 |
| შატორუ | 12 | 5 | 4 | 3 | 16:13 | 19 |
| ვალანსი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| ამიენი | 12 | 4 | 5 | 3 | 11:8 | 17 |
| ლე ავრი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 16 |
| გენიონი | 12 | 3 | 7 | 2 | 9:10 | 16 |
| გრენობლი | 12 | 4 | 3 | 5 | 9:13 | 15 |
| დიჟონი | 12 | 3 | 5 | 4 | 8:10 | 14 |
| კაენი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:11 | 13 |
| რეიმსი | 12 | 3 | 4 | 5 | 6:8 | 13 |
| კლერმონი | 12 | 3 | 4 | 5 | 6:17 | 13 |
| ბრესტი | 11 | 2 | 6 | 3 | 9:11 | 12 |
| მონპელიე | 12 | 3 | 3 | 6 | 11:17 | 12 |
| ისტრი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | 11 |
| სეტე | 12 | 2 | 5 | 5 | 10:13 | 11 |
| ლავალი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:18 | 11 |
| გენგამი | 11 | 1 | 7 | 3 | 6:8 | 10 |

# მეხუტო მოსკოვში



„რუბინი“ დამარცხებულია, არმია ლიდერია

„**სპარტაკისა**“ და „ზენიტის“ მატჩი მანუელ მეხუტო გონსალესმა განსაჯა, რადგან ასეთ თამაშებს რუსეთში რუსებს აღარ ანდობენ.

მოსკოვური შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც ორივე გუნდისთვის ორ-ორი ქულის დაკარგვას და ჩემპიონობის შანსი შემცირებას ნიშნავს.

პირველ ტაიმში სპარტაკელმა პავლიუჩენკომ ორი კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, შესვენების შემდეგ კი უკეთ „ზენიტმა“ ითამაშა. არშავინმა კერჟაკოვის პასით ანგარიში გახსნა, ხოლო ბისტროვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვიდიჩმა გამოიყენა და გაათანაბრა.

რუსული პრემიერლიგის დებიუტანტმა „ტომსკმა“ პერმის „ამკართან“ მოგებით ფაქტობრივად რჩეულთა შორის გაინაღდა ადგილი. სკერლამ ხუთიოდ მეტრიდან დაარტყა და ანგარიში გახსნა, შემდეგ კალეშინმა უფრო ახლო მანძილიდან თავით გაიტანა, რასაც მასპინძელთა კარში პენალტი მოჰყვა, მაგრამ მეკარე ბლიზნიუკმა ლეონჩენკოს არ გაატანინა.

აღსანიშნავია, რომ ბლიზნიუკს ამ სეზონში ხუთიდან მოეთხე პენალტი ვერ გაუტანეს. მატჩის ბოლო წუთზე კი კრუნიჩმა მესამე გოლი მიართვა პერმელებს და „ტომსკს“ მეექვსე მოგება ჩაუწერა.

გროზნის „ტერეკი“ კი იქვე დაბრუნდება, საიდანაც გადმოვიდა — მეორე ლიგაში. ჩეჩენთა გუნდმა რუსი მსაჯები დაიწუნა და „როსტოვთან“ მატჩი ჩეხ არბიტრთა ბრიგადა დაუნიშნეს. „ტერეკს“ ჩეხებმაც ვერ უშველეს. უკვე მეთოთხმეტე წუთისთვის გროზნოელები ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ. მასპინძელმა ადამოვმა პირველივე ტაიმში ერთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ მაქსიმ ბუზნიკინმა მეორე ნახევრის დასაწყისში „ტერეკს“ მესამე გაუტანა. შეცვლაზე შესულმა ატანგანამ კვლავ შეამცირა სხვაობა, თუმც დამხვდურებმა ორ გოლს ველარაფერი მიამატეს.

მოსკოვის „ტორპედომ“ ჩემპიონატის მიწურულს გაიღვიძა და მიჯრით მესამე მატჩი მოიგო. ტორპედოელებმა „სატურნთან“ პირველ ტაიმში საგოლე მომენტები ვერ შექმნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ წყვილი გოლი გაიტანეს. სემშოვმა საჯარიმოს ხაზიდან „გაისროლა“ და კინსკი ბურთს ვერ მისწვდა, ხოლო შეხვედრის მიწურულს მეკარესთან პირისპირ გასულმა პანოვმა ივარგა — 2:0.

**გაჟა ხუციშვილი**

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXVI ტური

**ტომი 3:0 ამკარი**

1:0 სკერლა (65), 2:0 კალეშინი (70), 3:0 კრუნიჩი (90)

**ტერეკი 2:3 როსტოვი**

0:1 ოლენიკოვი (10), 0:2 კრუშჩიჩი (14), 1:2 ადამოვი (35), 1:3 ბუზნიკინი (50), 2:3 ატანგანა (71)

**როსტოვი:** ჩიჩკინი, გორაკი, ოლენიკოვი, ბუტიერესი, ორლოვი, ოხინოვი, ბოჩკოვი, ზვანე (დანცევი 54), ტერესი (კალაშნიკოვი 72), ბუზნიკინი (აშვეთია 85)

**ტორპედო 2:0 სატურნი**

1:0 სემშოვი (70), 2:0 პანოვი (90)

**ალანია 2:4 დინამო**

0:1 ტოჩილინი (18), 0:2 დერლეი (36), 0:3 რიბეირუ (49), 1:3 გოგნიევი (73), 1:4 მანიშე (85), 2:4 დადუ (88პ)

**ალანია:** რადიჩი, ოკორონკვო, ბეჩირი, ჯორჯევიჩი, აგაევი, გ. ბაზაევი, ჯ. ბაზაევი, დარასელია (გოგნიევი 46), ტიაგუ, დემეტრაძე (დადუ 46)

**კრილია 4:1 მოსკვა**

1:0, 2:0 ტოპიჩი (43, 69), 3:0 ბობერი (73), 3:1 გოლუბოვი (89), 4:1 ტოპიჩი (90პ)

**ცსკა 2:1 რუბინი**

1:0 ოდია (11), 2:0 იგნაშევიჩი ( 50), 2:1 ბუხაროვი (68)

**რუბინი:** კოლინკო, დიასი, სკოტი, ვასილევი, სინევი, ჩიჟეკი, გილმურინი, ხიბაია, ბაირამოვი (ბუხაროვი 62), ქინქლაძე, რალფი (დომინგესი 62)

**სპარტაკი 1:1 ზენიტი**

0:1 არშავინი (60), 1:1 ვიდიჩი (80პ)

**ლოკომოტივი 0:0 შინიკი**

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ლიმა, კრუგლოვი (რუპოლო 65), ლოსკოვი (ხოხლოვი 76), პაშინინი, სენნიკოვი, ასათიანი, ლებედენკო, სამედოვი (ბიკეი 46), ბილიალეტდინოვი, იზმაილოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 14 | 8 | 4 | 39:15 | 50 |
| ლოკომოტივი | 26 | 13 | 11 | 2 | 36:16 | 50 |
| ზენიტი | 26 | 12 | 10 | 4 | 41:20 | 46 |
| სპარტაკი | 26 | 13 | 7 | 6 | 41:24 | 46 |
| რუბინი | 26 | 11 | 9 | 6 | 35:26 | 42 |
| მოსკვა | 26 | 11 | 8 | 7 | 29:21 | 41 |
| ტორპედო | 26 | 10 | 9 | 7 | 32:26 | 39 |
| შინიკი | 26 | 8 | 11 | 7 | 20:22 | 35 |
| დინამო | 26 | 11 | 2 | 13 | 32:40 | 35 |
| ამკარი | 26 | 6 | 12 | 8 | 23:32 | 30 |
| სატურნი | 26 | 7 | 8 | 11 | 20:21 | 29 |
| ტომი | 26 | 6 | 10 | 10 | 21:28 | 28 |
| კრილია | 26 | 6 | 8 | 12 | 26:39 | 26 |
| როსტოვი | 26 | 6 | 7 | 13 | 19:34 | 25 |
| ალანია | 26 | 4 | 7 | 15 | 21:46 | 19 |
| ტერეკი | 26 | 4 | 5 | 17 | 18:43 | 17 |

# ყვითელი ზეიმი

**შოტლანდიის** ჩემპიონატის თითქმის მესამედი მიილია და „ჰართსი“ კვლავ უძლეველია. ედინბურგელებმა გლაზგოში, „სელტიკთანაც“ ჩააბარეს გამოცდა და ქულა წაიღეს.

„სელტიკი“ კრეიგ ბიტის გოლით დაწინაურდა, რომელმაც საჯარიმოს გარედან გაიტანა, ხოლო სამ წუთში „ჰართსის“ ფორვარდმა რუდი შკასელმა გაათანაბრა. ჩეხმა მეგოლემ იანკაუსკასისგან პასი მიიღო, ჯერ მცველ ტელფერს აჯობა და მეკარე ბორუჩიც ზედ მიაყოლა. შკასელისთვის ეს ათ მატჩში მერვე გოლი გამოდგა.

„ჰართსმა“ „სელტიკს“ ტოლი არ დაუდო. პირველად სტუმრებს შეეძლოთ გატანა. პოლ ჰარტლს დარტყმული არტურ ბორუჩმა კუთხურზე მოიგერია, ამას მოჰყვა მასპინძელთა საგოლე კომბინაცია, მერე კი ბობო ბალდემ ნაკუთხურალ ბურთს დაჰკრა თავი და ხარიხა შეაზანზარა. საპასუხო შეტევა „ჰართსის“ გოლით დასრულდა, ხოლო იანკაუსკასს მალევე მიეცა დედაქალაქელთა დაწინაურების შანსი, თუმც ფორვარდმა ვერ ივარგა.

ნამატჩევს სტუმართა ნახევარმცველმა პოლ ჰარტლიმ მსაჯი აძაგა, რადგან გოლის გამო მოზეიმე შკარელი გააფრთხილეს. შკასელმა უკვე მესამე ყვითელი ბარათი მიიღო იმისათვის, რომ გოლის შემდეგ, მსაჯების აზრით, „საყვითლედ“ ზეიმობს.

**გაჟა ხუციშვილი**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. X ტური

**სელტიკი 1:1 ჰართსი**

1:0 კ. ბიტი (12), 1:1 შკასელი (15)

**დანფერმლაინი 0:1 ფოლკირკი**

0:1 დაფი (39)

**ჰიბერნიანი 4:2 კილმარნოკი**

0:1 ფორდი (6), 0:2 ჯ. ფაულერი (40), 1:2 კოლდველი (53), 2:2, 3:2 ბუზელინი (60, 79), 4:2 რიორდანი (80)

**ინვერნესი 1:1 აბერდინი**

0:1 სმიტი (54), 1:1 ბეინი (72)

**მოზერველი 1:0 ლივინგსტონი**

1:0 ფორანი (20)

**დანდი იუნ 0:0 რეინჯერსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 10 | 8 | 2 | 0 | 24:7 | 26 |
| სელტიკი | 10 | 7 | 2 | 1 | 25:10 | 23 |
| ჰიბერნიანი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 19 |
| რეინჯერსი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:10 | 17 |
| კილმარნოკი | 10 | 4 | 3 | 3 | 19:18 | 15 |
| მოზერუელი | 10 | 4 | 2 | 4 | 22:21 | 14 |
| აბერდინი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:12 | 13 |
| ინვერნესი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:11 | 12 |
| დანდი იუნაიტედი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | 10 |
| ფოლკირკი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:19 | 9 |
| დანფერმლაინი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:20 | 5 |
| ლივინგსტონი | 10 | 0 | 2 | 8 | 2:24 | 2 |

### I დივიზიონი. IX ტური

კლაიდი — ჰამილტონი 1:1; დანდი — სტრენრარი 1:1; ქუინ ოფ საუთ — ერდრი 1:0; სტ. ჯონსტონი — ბრეჩინი 3:1; სტ. მირენი — როს ქაუნთი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. მირენი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 19 |
| როს ქაუნთი | 10 | 4 | 5 | 1 | 11:8 | 17 |
| ჰამილტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| სტ. ჯონსტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| დანდი | 9 | 3 | 5 | 1 | 13:10 | 14 |
| კლაიდი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| სტრენრარი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| ერდრი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:12 | 9 |
| ქუინ ოფ საუთ | 9 | 1 | 3 | 5 | 4:12 | 6 |
| ბრეჩინი | 9 | 0 | 3 | 6 | 7:15 | 3 |

### II დივიზიონი. IX ტური

ეარი — ალოა 1:1; დამბარტონი — რეით როვერსი 1:2; ფორფარი — სტირლინგი 3:0; პარტიკ თისლი — მორტონი 2:0; პიტერჰედი — გრეტნა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრეტნა | 9 | 7 | 2 | 0 | 21:6 | 23 |
| მორტონი | 9 | 6 | 1 | 2 | 14:8 | 19 |
| პარტიკ თისლი | 9 | 4 | 4 | 1 | 18:11 | 16 |
| რეით როვერსი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:15 | 16 |
| ეარი | 10 | 2 | 7 | 1 | 19:17 | 13 |
| ფორფარი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:12 | 13 |
| ალოა | 10 | 2 | 4 | 4 | 13:21 | 10 |
| პიტერჰედი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | 9 |
| დამბარტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:13 | 5 |
| სტირლინგი | 10 | 0 | 3 | 7 | 7:21 | 3 |

### III დივიზიონი. IX ტური

ალბიონი — ქოუდენბითი 0:3; არბოთი — ელგინი 2:0; ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 3:1; მონტროუზი — ქუინზ პარკი 0:1; სტენჰაუზმური — ბერიკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბერიკი | 10 | 8 | 2 | 0 | 22:6 | 26 |
| სტენჰაუზმური | 9 | 6 | 1 | 2 | 20:10 | 19 |
| ისტ ფაიფი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:14 | 19 |
| ქოუდენბითი | 9 | 6 | 0 | 3 | 16:5 | 18 |
| ქუინზ პარკი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | 14 |
| არბოთი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:16 | 10 |
| ელგინი | 10 | 1 | 4 | 5 | 10:18 | 7 |
| ისტ სტირლინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:21 | 7 |
| მონტროუზი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:13 | 6 |
| ალბიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:21 | 5 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VI ტური

**რიუ ავე 1:2 ბრაგა**

0:1 მილაზესი (28ს.კ.), 1:1 მადრიდი (55ს.კ.), 1:2 ვანდინიო (90)

**პორტუ 0:2 ბენფიკა**

0:1 0:2 ნუნუ გომეში (56, 64)

**გიმარაეში 0:0 ნასიონალი**

**ამადორა 2:2 მარიტიმუ**

1:0 მაურისიო (35), 2:0 მანუ (38), 2:1 კანუ (45), 2:2 სიმოეში (52ს.კ.)

გაძევება: ვანიო (86, მარიტიმუ)

**პენაფიელი 0:1 სეტუბალი**

0:1 ბინიო (81)

**ლეირია 3:0 ფერეირა**

1:0 რენატო (52), 2:0 ფერეირა (69), 3:0 მასიელი (85)

**სპორტინგი 0:1 აკადემიკა**

**ნავალი : ბელენენსეში**

*გვიან დამთავრდა*

**ბოავიშტა : ჟილ ვისენტე**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 7 | 5 | 2 | 0 | 7:1 | 17 |
| ნასიონალი | 7 | 4 | 3 | 0 | 8:3 | 15 |
| პორტუ | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| სეტუბალი | 7 | 4 | 1 | 2 | 5:2 | 13 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 0 | 3 | 8:9 | 12 |
| ბოავიშტა | 6 | 2 | 4 | 0 | 10:6 | 10 |
| ნავალი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| რიუ ავე | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 0 | 4 | 11:10 | 9 |
| ამადორა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 3 | 0 | 3 | 5:4 | 9 |
| ფერეირა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:11 | 9 |
| აკადემიკა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| ლეირია | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| მარიტიმუ | 7 | 0 | 4 | 3 | 7:10 | 4 |
| გიმარაეში | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |
| პენაფიელი | 7 | 0 | 1 | 6 | 3:14 | 1 |

### II დივიზიონი. VII ტური

პორტიმონენსე — შავეში 1:0; ავეში — მორეირენსე 4:2; ბარეირენსე — ვარზიმი 1:1; გონდომარი — ოლიალენსე 1:2; ლეიშოეში — ბეირა მარი 0:0; ეშტორილი — ოვაირენსე 3:2; მარკუ — სანტა კლარა 1:1; კოვილია — ფეირენსე 0:1; ვიზელა — მაია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიალენსე | 7 | 5 | 1 | 1 | 11:8 | 16 |
| ბეირა მარი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:2 | 14 |
| ავეში | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| კოვილია | 7 | 4 | 1 | 2 | 8:5 | 13 |
| ეშტორილი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:10 | 12 |
| ლეიშოეში | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| მაია | 7 | 3 | 2 | 2 | 14:11 | 11 |
| გონდომარი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| პორტიმონენსე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| მარკუ | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| ვარზიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ფეირენსე | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| სანტა კლარა | 7 | 0 | 6 | 1 | 5:6 | 6 |
| მორეირენსე | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| ბარეირენსე | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ვიზელა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| შავეში | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ოვაირენსე | 7 | 1 | 2 | 4 | 11:18 | 5 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. IX ტური

ერჯიესი — გალათასარაი 1:2; ანკარა — კონია 0:0; დიარბაქირი — გაზიანთეფი 1:2; ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ 2:1; დენიზლი — მანისა 1:1; გენჩლერი — სივასფორი 0:1; რიზე — მალათია 1:0; სამსუნი — ტრაბზონი 3:1; ბეშიქთაში — ქაისერი :

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 9 | 8 | 1 | 0 | 24:9 | 25 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 7 | 2 | 0 | 22:10 | 23 |
| სივასფორი | 9 | 5 | 3 | 1 | 8:5 | 18 |
| ქაისერი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| ერჯიესი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:7 | 16 |
| გაზიანთეფი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:12 | 15 |
| ბეშიქთაში | 9 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 12 |
| კონია | 9 | 2 | 5 | 2 | 11:9 | 11 |
| ანკარა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:9 | 11 |
| ტრაბზონი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | 11 |
| მანისა | 9 | 2 | 3 | 4 | 13:13 | 9 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 2 | 3 | 4 | 10:11 | 9 |
| გენჩლერი | 9 | 1 | 5 | 3 | 5:8 | 8 |
| სამსუნი | 9 | 2 | 2 | 5 | 17:21 | 8 |
| რიზე | 9 | 2 | 2 | 5 | 6:10 | 8 |
| დიარბაქირი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:18 | 8 |
| დენიზლი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:11 | 6 |
| მალათია | 9 | 0 | 3 | 6 | 6:19 | 3 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. X ტური

**მუსკრონი 4:1 ბეერსხოტი**

1:0 უსალა (2), 2:0 მონტეინი (60ს.კ.), 3:0 კუსტოვიჩი (75), 4:0 სანტოსი (83), 4:1 დუსუნმო (89)

**ბრიუგე 2:1 ვესტერლო**

0:1 დელენი (35), 1:1 ბალაბანი (44), 2:1 ვერშეიენი (86)

გაძევება: გასპერჩიჩი (43, ვესტერლო)

**ბევერენი 0:1 ანდერლეხტი**

0:1 იესტეროვიჩი (37)

**ბრიუსელი 1:2 სერკლი**

0:1, 0:2 დეკელვერი (6, 75), 1:2 კულეკი (81)

**ლოკერენი 4:2 შარლერუა**

0:1 ჩაბუდი (26), 0:2 ფორშელეტი (45), 1:2 ბუხარი (53), 2:2 დრულიჩი (72), 3:2 ბანსი (88), 4:2 გრეტარსონი (89)

**რუზელარე 4:1 ლუვიე**

0:1 სტოიკოვი (7), 1:1 კონინკი (15), 2:1 ვლეშაუვერი (15), 3:1 დურექსი (48ს.კ.), 4:1 ელოი (64)

**ლიერსი 0:2 ვარეგემი**

0:1 სერჟანტი (5), 0:2 სალუ (80)

**სენტ ტრუიდენი 1:1 გენტი**

1:0 მბონაბუსია (61), 1:1 ვრანკენი (74)

**გენკი 0:1 სტანდარდი**

0:1 ტჩიტე (6)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:10 | 25 |
| ანდერლეხტი | 10 | 7 | 3 | 0 | 27:7 | 24 |
| ვესტერლო | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 20 |
| ვარეგემი | 10 | 6 | 2 | 2 | 20:12 | 20 |
| ბრიუგე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:10 | 18 |
| გენტი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:11 | 16 |
| ლოკერენი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:12 | 16 |
| გენკი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:14 | 14 |
| შარლერუა | 10 | 2 | 6 | 2 | 12:12 | 12 |
| რუზელარე | 10 | 3 | 2 | 5 | 13:14 | 11 |
| ბრიუსელი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:13 | 10 |
| ბევერენი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | 10 |
| სენტ ტრუიდენი | 10 | 3 | 1 | 6 | 6:12 | 10 |
| სერკლი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | 10 |
| მუსკრონი | 10 | 3 | 0 | 7 | 10:17 | 9 |
| ლიერსი | 9 | 1 | 5 | 3 | 5:11 | 8 |
| ბეერსხოტი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:21 | 6 |
| ლუვიე | 10 | 0 | 4 | 6 | 8:23 | 4 |

### II დივიზიონი. VIII ტური

დესელი — ანტვერპენი 2:1; დაინცე — ვაასლანდი 1:3; გეელი — ჰეუსდენი 1:2; მონსი — სენტ ჟილი 4:1; ოსტენდე — ლომელი 0:0; ტუბიცე — კორტრაიკი 0:2; ვირტონი — ეუპენი 0:1; რონსი — ოუდ ჰევერლი 2:1; ვიგორი — მეხელენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დესელი | 8 | 6 | 0 | 2 | 19:10 | 18 |
| მონსი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:9 | 17 |
| ლომელი | 8 | 4 | 4 | 0 | 18:9 | 16 |
| ტუბიცე | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ვაასლანდი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 13 |
| კორტრაიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:14 | 13 |
| ოუდ ჰევერლი | 8 | 4 | 0 | 4 | 17:7 | 12 |
| ეუპენი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:9 | 12 |
| მეხელენი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| ოსტენდე | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| ვირტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | 11 |
| რონსი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:12 | 11 |
| ანტვერპენი | 8 | 2 | 3 | 3 | 13:13 | 9 |
| ვიგორი | 8 | 3 | 0 | 5 | 17:18 | 9 |
| ჰეუსდენი | 8 | 1 | 5 | 2 | 6:11 | 8 |
| სენტ ჟილი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:16 | 6 |
| დაინცე | 8 | 2 | 0 | 6 | 10:22 | 6 |
| გეელი | 8 | 1 | 1 | 6 | 9:17 | 4 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XII ტური

ციურიხი — ბაზელი 2:4; თუნი — სენტ გალენი 5:1; ივერდონი — ქსამაქსი 4:1; აარაუ — იანგ ბოისი 1:0; შაფჰაუზენი — გრასჰოპერი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 12 | 8 | 3 | 1 | 32:17 | 27 |
| გრასჰოპერი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:14 | 23 |
| ციურიხი | 12 | 6 | 2 | 4 | 27:18 | 20 |
| თუნი | 12 | 6 | 2 | 4 | 23:18 | 20 |
| იანგ ბოისი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:14 | 19 |
| სენტ გალენი | 12 | 5 | 2 | 5 | 21:23 | 17 |
| აარაუ | 12 | 4 | 3 | 5 | 12:19 | 15 |
| ივერდონი | 12 | 3 | 2 | 7 | 15:21 | 11 |
| შაფჰაუზენი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:21 | 9 |
| ქსამაქსი | 12 | 2 | 1 | 9 | 12:25 | 7 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. VIII ტური

**აიაქსი 0:0 ჰერაკლესი**

**ტვენტე 2:0 ვალვაიკი**

1:0 2:0 ბაკიროღლუ (35, 67)

**ბრედა 0:3 ჰერენვენი**

0:1 0:2 0:3 ჰანტელაარი (5, 25, 47)

გაძევება: სიბი (21, ჰერენვენი)

**პსვ 3:0 ალკმაარი**

1:0 2:0 კოკუ (43, 82), 3:0 ჰესელინკი (89)

**ალკმაარი:** ტიმერი, ოპდამი, იალიენსი, დე ზეუვი (ვლაარი 35), ლანძაატი, დე კლერი, ვან გალენი (ჰ ისეგემსი 58), შაარსი, პერესი, სეკტიუ (კოვერმანსი 66), შ. არველაძე

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

გაძევება: ვლაარი (81, ალკმაარი)

**ტილბურგი 0:0 სპარტა**

გაძევება: მიშელსი, როზე (70, 89, სპარტა)

**ფეიენოორდი 4:1 გრონინგენი**

0:1 სილვა (9), 1:1 ბუსაბუმი (53), 2:1 კუიტი (66), 3:1 კალუ (71), 4:1 გალი (89)

**ნაიმეგენი 3:1 როზენდალი**

1:0 დენებუმი (23), 1:1 ელხატაბი (44), 2:1 ნიზიელამი (45), 3:1 გროტი (84)

გაძევება: პააპი (66, როზენდალი)

**ვიტესი 3:1 დენ ჰააგი**

1:0 ბენსონი (30), 1:1 სტროევი (41), 2:1 ბოდი (70ს.კ.), 3:1 პერსი (90)

**როდა 2:1 უტრეხტი**

0:1 ბრაფჰიდი (34), 1:1 სერჟიო (53), 2:1 ოპერი (57)

### II დივიზიონი. XIII ტური

გრააფსხაპი — ექსელსიორი 1:1; დორდრეხტი — ეინდჰოვენი 1:1; ალმერე — კამბური 2:0; ზვოლე — ვენლო 1:1; ჰელმონდი — ემენი 2:1; მაასტრიხტი — იგლსი 1:0; ოსი — სიტარდი 3:1; ვეენდამი — აპელდორნი 1:0; ვოლენდამი — დენ ბოსხი 4:2; ჰაარლემი — ტელსტარი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენლო | 13 | 9 | 3 | 1 | 23:6 | 30 |
| ვოლენდამი | 13 | 9 | 3 | 1 | 24:8 | 30 |
| ექსელსიორი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:7 | 27 |
| ჰელმონდი | 13 | 8 | 2 | 3 | 23:13 | 26 |
| ზვოლე | 13 | 7 | 4 | 2 | 21:13 | 25 |
| დენ ბოსხი | 12 | 7 | 2 | 3 | 27:18 | 23 |
| ემენი | 13 | 7 | 2 | 4 | 25:18 | 23 |
| მაასტრიხტი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:16 | 19 |
| აპელდორნი | 13 | 5 | 2 | 6 | 21:24 | 17 |
| ვეენდამი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:16 | 16 |
| დორდრეხტი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:16 | 16 |
| გრააფსხაპი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:16 | 16 |
| იგლსი | 13 | 3 | 5 | 5 | 20:25 | 14 |
| ეინდჰოვენი | 13 | 3 | 3 | 7 | 22:25 | 12 |
| კამბური | 13 | 2 | 6 | 5 | 15:18 | 12 |
| ტელსტარი | 13 | 1 | 7 | 5 | 11:18 | 10 |
| ალმერე | 13 | 3 | 1 | 9 | 16:28 | 10 |
| ოსი | 13 | 2 | 4 | 7 | 13:25 | 10 |
| ჰაარლემი | 13 | 2 | 3 | 8 | 11:28 | 9 |
| სიტარდი | 13 | 1 | 4 | 8 | 13:28 | 7 |

## შვედეთი

### ალსვენსკან. XXV ტური

გეფლე — მალმიო 2:1;
ჰეკენი — კალმარი 1:1;
ჰალმსტადი — ასირისკა 5:0;
ელფსბორგი — ჰელსინგბორგი;
ჰამარბი — გიოტებორგი;
ლანდსკრონა — სუნდსვალი და იორგრიტე — იურგორდენი
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 24 | 15 | 4 | 5 | 52:25 | 49 |
| გიოტებორგი | 24 | 13 | 7 | 4 | 32:17 | 46 |
| მალმიო | 25 | 12 | 5 | 8 | 38:26 | 41 |
| კალმარი | 25 | 10 | 10 | 5 | 34:21 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 12 | 3 | 9 | 32:35 | 39 |
| ჰამარბი | 24 | 10 | 7 | 7 | 39:28 | 37 |
| იორგრიტე | 24 | 10 | 4 | 10 | 35:35 | 34 |
| ელფსბორგი | 24 | 9 | 7 | 8 | 32:35 | 34 |
| ჰეკენი | 25 | 10 | 3 | 12 | 28:29 | 33 |
| ჰალმსტადი | 25 | 9 | 5 | 11 | 38:36 | 32 |
| გეფლე | 25 | 8 | 4 | 13 | 24:33 | 28 |
| ლანდსკრონა | 24 | 7 | 6 | 11 | 23:40 | 27 |
| სუნდსვალი | 24 | 5 | 7 | 12 | 28:43 | 22 |
| ასირისკა | 25 | 4 | 2 | 19 | 17:49 | 14 |

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. XII ტური

გორიცა — დომჟალე 1:1; ნაფტა — კოპერი 1:0; ბელა კრაინა — დრავა 1:1; რუდარი — პუბლიკუმი 0:0; მარიბორი — პრიმორიე 2:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XIII ტური

რუჟომბეროკი — პუხოვი 3:1; ინტერი — დუბნიცა 0:3; ტრენჩინი — სპარტაკი 0:0; ბ ბისტრიცა — ნიტრა 2:0; არტმედია — ჟილინა 1:1

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XI ტური

ილიჩევეცი — მეტალურგი ზ 1:0; ჩორნომორეცი — კრივბასი 2:1; ვოლინი — დნიპრო 2:1; ზაკარპატია — არსენალი 2:1; მეტალისტი — სტალი 1:0; ვორსკლა — შახტარი 0:2; მეტალურგი დ — ტავრია 0:0; დინამო — ხარკოვი 1:0

## საბერძნეთი

### ნაციონალლიგა. VI ტური

ატრომიტოსი — ლევადიაკოსი 1:0; კალამარია — ეგალეო 0:0; პანათინაიკოსი — აკრატიტოსი 1:0; ოფი — ლარისა 3:2; პანიონიოსი — კალითეა 1:0; ოლიმპიაკოსი — პაოკ 1:2; იონიკოსი — აეკ :; ქსანთი — ირაკლისი :

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 15 |
| ქსანთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ატრომიტოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| პაოკ | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| აეკ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| კალამარია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 7 |
| ეგალეო | 6 | 1 | 4 | 1 | 3:4 | 7 |
| ლარისა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:7 | 6 |
| ლევადიაკოსი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| აკრატიტოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:5 | 5 |
| ოფი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| პანიონიოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:15 | 5 |
| ირაკლისი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| კალითეა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |

## ავსტრია

### XIV ტური

რიდი — აუსტრია 0:0; ადმირა — ტიროლი 5:2; მატერსბურგი — გრაცერი 3:1; რაპიდი — ზალცბურგი 2:3; შტურმი — პაშინგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 14 | 8 | 2 | 4 | 21:15 | 26 |
| ზალცბურგი | 14 | 8 | 1 | 5 | 18:15 | 25 |
| პაშინგი | 14 | 6 | 6 | 2 | 17:8 | 24 |
| შტურმი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:17 | 23 |
| გრაცერი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:15 | 21 |
| რაპიდი | 14 | 5 | 4 | 5 | 23:18 | 19 |
| რიდი | 14 | 3 | 7 | 4 | 16:18 | 16 |
| მატერსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:24 | 15 |
| ტიროლი | 14 | 2 | 7 | 5 | 13:22 | 13 |
| ადმირა | 14 | 2 | 2 | 10 | 19:31 | 8 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა
### XXIV ტური

რუსენბორგი — ბრანი :; ოდ გრენლანდი — ჰამ კამი 2:2; ლილესტრიომი — ბოდიო გლიმტი :; სტარტი — ალესუნდი 4:5; ლინი — ტრომსიო 0:1; ვიკინგი — ვოლერენგა 0:0; ფრედრიკსტადი — მოლდე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 24 | 13 | 6 | 5 | 38:23 | 45 |
| სტარტი | 24 | 13 | 5 | 6 | 45:31 | 44 |
| ლინი | 24 | 11 | 7 | 6 | 30:20 | 40 |
| ვიკინგი | 24 | 11 | 5 | 8 | 34:31 | 38 |
| ლილესტრიომი | 23 | 11 | 4 | 8 | 32:28 | 37 |
| ბრანი | 23 | 10 | 5 | 8 | 39:25 | 35 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 9 | 4 | 11 | 24:47 | 31 |
| ტრომსიო | 24 | 7 | 9 | 8 | 28:29 | 30 |
| ჰამ კამი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:35 | 29 |
| მოლდე | 24 | 8 | 4 | 12 | 37:43 | 28 |
| რუსენბორგი | 23 | 8 | 3 | 12 | 43:40 | 27 |
| ფრედრიკსტადი | 24 | 7 | 6 | 11 | 31:42 | 27 |
| ალესუნდი | 24 | 6 | 8 | 10 | 29:38 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 6 | 5 | 12 | 28:35 | 23 |

## პოლონეთი

### I ლიგა. X ტური

ლეჩნა — ლეხი 0:0; არკა — ამიკა 1:1; ბელხატოვი — პოლონია 2:0; კრაკოვია — ოდრა 1:0; გურნიკი — კორონა 0:3; ლეგია — პლოცკი 3:0; გროცლინი — პოგონი 1:3; ზაგლებე — ვისლა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 9 | 6 | 2 | 1 | 20:9 | 20 |
| ლეხი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:17 | 18 |
| ლეგია | 10 | 4 | 4 | 2 | 12:7 | 16 |
| პოგონი | 10 | 4 | 4 | 2 | 16:13 | 16 |
| ამიკა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:12 | 15 |
| კორონა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:14 | 15 |
| კრაკოვია | 9 | 4 | 3 | 2 | 9:11 | 15 |
| ზაგლებე | 10 | 3 | 4 | 3 | 18:17 | 13 |
| გროცლინი | 10 | 3 | 4 | 3 | 16:15 | 13 |
| გურნიკი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:12 | 13 |
| ოდრა | 10 | 3 | 4 | 3 | 8:9 | 13 |
| ლეჩნა | 10 | 1 | 7 | 2 | 7:7 | 10 |
| ბელხატოვი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:14 | 10 |
| პლოცკი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:20 | 10 |
| არკა | 10 | 0 | 6 | 4 | 7:12 | 6 |
| პოლონია | 10 | 1 | 2 | 7 | 6:15 | 5 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. IX ტური

მოსტი — სლავია 0:3; სლოვაცკო — ბანიკი 0:0; სპარტა — ბლშანი 5:2; იჰლავა — ტეპლიცე 0:4; ბრნო — იაბლონეცი 1:1; ბოლესლავი — პლზენი 2:2; პრჟიბრამი — ზლინი 3:0; ლიბერეცი — სიგმა *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეპლიცე | 9 | 7 | 1 | 1 | 17:7 | 22 |
| ლიბერეცი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| პრჟიბრამი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| სლავია | 9 | 4 | 3 | 2 | 16:12 | 15 |
| ბოლესლავი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:16 | 14 |
| იაბლონეცი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:14 | 13 |
| სპარტა | 9 | 4 | 1 | 4 | 13:13 | 13 |
| სიგმა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 13 |
| პლზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| იჰლავა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:15 | 11 |
| მოსტი | 9 | 3 | 0 | 6 | 12:14 | 9 |
| სლოვაცკო | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| ბანიკი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ზლინი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| ბლშანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:21 | 8 |
| ბრნო | 9 | 0 | 5 | 4 | 9:13 | 5 |

## უნგრეთი

### NB. VIII ტური

რიკა — დებრეცენი 1:2; პეჩი — ვიდეოტონი 0:2; ვაშაში — ტატაბანია 1:1; მტკ — ლომბარდ-პაპა 7:0; კაპოშვარი — ზალაეგერსეგი 1:1; გიორი — ჰონვედი 1:1; დიოშგიორი — შოპრონი 1:1; უიპეშტი — ფერენცვაროში 2:1

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXVI ტური

ინტერი — იარო 2:2; ჰაკა — როვანიემი 4:0; ტამპერე — ტპ 47 4:0; კტპ — ალიანსი 1:2; ლაჰტი — მარიეჰამნი 3:0; ჰიკ — მიუპა 1:0; კუოპიო — ტურკუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 26 | 17 | 5 | 4 | 51:18 | 56 |
| ჰიკ | 26 | 15 | 7 | 4 | 43:26 | 52 |
| ტამპერე | 26 | 15 | 6 | 5 | 38:21 | 51 |
| ჰაკა | 26 | 13 | 11 | 2 | 47:19 | 50 |
| ინტერი | 26 | 12 | 8 | 6 | 38:20 | 44 |
| ლაჰტი | 26 | 11 | 5 | 10 | 39:36 | 38 |
| ალიანსი | 26 | 8 | 10 | 8 | 33:41 | 34 |
| კტპ | 26 | 9 | 6 | 11 | 35:42 | 33 |
| ტურკუ | 26 | 8 | 6 | 12 | 30:35 | 30 |
| კუოპიო | 26 | 8 | 5 | 13 | 32:45 | 29 |
| იარო | 26 | 6 | 8 | 12 | 21:31 | 26 |
| მარიეჰამნი | 26 | 6 | 5 | 15 | 27:43 | 23 |
| როვანიემი | 26 | 3 | 8 | 15 | 18:50 | 17 |
| ტპ 47 | 26 | 4 | 4 | 18 | 22:47 | 16 |

## ხორვატია

### NHL. XI ტური

რიეკა — მედიმურიე 4:1; ციბალია — ოსიეკი 3:1; სლავენი — ჰაიდუკი 0:0; ვარტექსი — ზაგრები 3:1; დინამო — პულა 1:0; ინტერი — კამენი 0:0;

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ჩარლტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 98 | დინამო-ალემანია | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 149 | კატანძარო-კროტონე | 2.50 | 2.80 | 2.80 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 160 | სანჯოვანეზე-მარტინა | 1.60 | 2.90 | 6.30 | 1.03 | 1.27 | 1.98 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 206 | ბრესტი-გენგამი | 2.15 | 2.80 | 3.20 | 1.21 | 1.28 | 1.49 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 536 | ბოავიშტა-ვიტორია ვისენტე | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 537 | ქსანთი-ირაკლისი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:40 | 327 | ლიბერეცი-სიგმა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 379 | ლილესტრიომი-ბოდო გლიმტი | 1.70 | 3.60 | 4.50 | 1.15 | 1.23 | 2.00 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 401 | იორგრიტე-იურგორდენი | 3.80 | 3.50 | 1.80 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| 21:00 | 402 | ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 2.35 | 3.40 | 2.70 | 1.38 | 1.25 | 1.50 |
| 21:00 | 403 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.40 | 3.40 | 2.60 | 1.40 | 1.24 | 1.47 |
| 21:00 | 404 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 420 | დუბლინი-უოტერფორდი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 538 | ტირო ფედერალი-როსარიო | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **18. ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 479 | პანათინაიკოსი-ბარსელონა | 4.80 | 3.40 | 1.70 | 1.99 | 1.25 | 1.13 |
| 22:45 | 480 | სპარტა-არსენალი | 3.80 | 3.30 | 1.90 | 1.76 | 1.26 | 1.20 |
| 22:45 | 481 | ვილიარეალი-ბენფიკა | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:45 | 482 | რაპიდი-ბრიუგე | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 483 | მანჩესტერი-ლილი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 22:45 | 484 | ბაიერნი-იუვენტუსი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 22:45 | 485 | უდინეზე-ვერდერი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:45 | 486 | აიაქსი-თუნი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:45 | 488 | რეალი-როზენბორგი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:45 | 489 | მილანი-პსვ | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |
| 22:45 | 490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 22:45 | 492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 3.50 | 3.10 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 22:45 | 493 | ჩელსი-ბეტისი | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 22:45 | 494 | პორტუ-ინტერი | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 644 | ლინჩიოპინგი-სიოდერტელიე | 1.30 | 4.20 | 4.00 | 1.00 | 1.00 | 2.04 |
| 21:00 | 645 | მორა-ლექსანდი | 1.70 | 4.00 | 2.70 | 1.19 | 1.04 | 1.61 |
| 21:00 | 646 | ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 1.60 | 4.20 | 2.80 | 1.15 | 1.01 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 13:00 | 739 | ვიტიაზი-ნოვოკუზნეცკი | 2.10 | 4.00 | 2.15 | 1.37 | 1.06 | 1.39 |
| 13:00 | 740 | მვდ-სიბირი | 1.60 | 4.10 | 3.00 | 1.15 | 1.04 | 1.73 |
| 13:00 | 741 | ხიმიკი-ს.იულაევი | 1.70 | 4.20 | 2.65 | 1.21 | 1.03 | 1.62 |
| 13:00 | 742 | აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1.80 | 4.20 | 2.65 | 1.25 | 1.07 | 1.62 |
| 13:00 | 743 | ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 1.60 | 4.20 | 2.85 | 1.15 | 1.02 | 1.69 |
| 13:00 | 744 | ავანგარდი-ლადა | 1.40 | 4.30 | 3.80 | 1.05 | 1.02 | 2.01 |
| 13:00 | 745 | სევერსტალი-ცსკა | 1.80 | 4.20 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.60 |
| 13:00 | 746 | ასკ-მოლოტი | 1.20 | 4.40 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.53 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩარლტონი-ფულემი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩარლტონი-ფულემი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### გოლი:ფუყილი-1თუ კენტი-2.
(0:0 ითვლება ფუყილად)

17001 ჩარლტონი-ფულემი ----- 1.85 ---------------- 1.95

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

კი ---- არა

13001 ჩარლტონი-ფულემი ------ 1.70 ---------------- 1.90

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

კი ---- არა

12001 ჩარლტონი-ფულემი ------ 1.70 ---------------- 1.90

### ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

16001 ჩარლტონი-ფულემი ------ 1.30 ---------------- 2.80

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
([illegible])

14001 ჩარლტონი-ფულემი ------ 1.40 ---------------- 2.30

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ჯეისონ კოლიე

# ფაჩულია მარტო დარჩა
## ატლანტას 28 წლის ჯეისონ კოლიე მოუკვდა

**კარგი** ფინანსური პირობების გარდა ზაზა ფაჩულიამ „ატლანტა ჰოქსთან" კონტრაქტს იმიტომაც მოაწერა ხელი, რომ ძირითადში ეთამაშა. „ქორებს" არ ჰყავდათ ძლიერი მეფარე და მოსალოდნელი იყო, რომ ქართველი ცენტრი კონკურენციას დაძლევდა. ფაჩულიამ სეზონისწინა მატჩებში დაამტკიცა, რომ მისი ადგილი ატლანტელთა ხუთეულშია და კლუბის ხელმძღვანელობამაც გამოაცხადა, ქართველი სასტარტოში იქნებაო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ატლანტელებს მაინც მოუწევთ მეფარის მოძებნა, რომელიც ფაჩულიას შეენაცვლება ხოლმე, რადგან შაბათ საღამოს გარდაიცვალა ჯეისონ კოლიე, „ჰოქსის" 214-სანტიმეტრიანი ცენტრი.

ატლანტელთა გენერალურ მენეჯერ ბილ ნაითის თქმით, კოლიეს გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ჯერაც უცნობია, თუმცა როგორც გარემოებებიდან ჩანს, მას გულმა უმტყუნა.

კალათბურთელის მამა ჯეფ კოლიე ამბობს, რომ ღამის ოთხის ნახევარზე მას დაურეკა ჯეისონის მეუღლე კეტიმ და შეატყობინა, რომ მისი შვილი შეუძლოდ გახდა. ჯეისონს სუნთქვა შეკვროდა, ხვნეშოდა და აკანკალებდა. 28 წლის ჯეისონ კოლიე სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა, როცა იგი საავადმყოფოში მიჰყავდათ.

„ახლა ჩვენ მხოლოდ ჯეისონის ოჯახზე, მის ცოლსა და ქალიშვილზე ვფიქრობთ. „ატლანტა" დიდ მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო. ჩვენ ძალიან დაგვაკლდება ჯეისონი" — თქვა ბილი ნაითმა.

კოლიე 2000 წლის დრაფტზე აიყვანა „მილუოკი ბაქსმა". შარშან მან „ატლანტას" 44 მატჩში ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში და საშუალოდ 5,7 ქულასა და 2,6 მოხსნას იხვეჭდა 13,5 წუთში.

**ირაკლი პერტაია**

# ცქიტიშვილის ახალი მწვრთნელი კევინ გარნეტია

**ნიკა ცქიტიშვილმა** უკვე მეორედ ითამაშა „მინესოტას" შემადგენლობაში და ამჯერად შედარებით კარგად გამოიყურებოდა.

საგამოფენო მატჩები მინესოტელებმა 12 ოქტომბერს „მილუოკისთან" შეხვედრით გახსნეს, რომელშიც ქართველმა ფორვარდმა 19 წუთი ითამაშა და 3 ქულის შეგროვებას 7 ტყორცნა მოანდომა. ეს კიდევ არაფერი, „სკიტამ" 6 ბურთი დაკარგა...

მომდევნო საგამოფენო მატჩი „მინესოტამ" გასულ პარასკევს ჩაატარა „ინდიანასთან". ცქიტიშვილმა სასტარტოში დაიწყო თამაში და 23 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა მოაქუჩა. ამჯერად ჩვენიანს მიზანი შედარებით მომართული ჰქონდა. კვლავ 7-ჯერ ტყორცნა ფარისკენ, ოღონდ 3 შემთხვევაში ზუსტი აღმოჩნდა.

ქულა-მოხსნებზე უკეთესი შედეგი „ცქიტოს" პასებში ჰქონდა. მან 4 შედეგიანი გადაცემა ჩამოურიგა თავისიანებს, რითაც მინესოტელებში ყველას აჯობა, მთლიანობაში კი მხოლოდ ინდიანელ ჯეისონ ჰანტერს ჩამორჩა, ვისაც 5 პასი დაუგროვდა.

„მინესოტამ", „მილუოკის" დარად, „ინდიანასთანაც" წააგო, თუმცა „მგლების" მწვრთნელებს რომ შედეგი არ აინტერესებთ, კევინ გარნეტის უთამაშებლობიდანაც ჩანს. „ტიმბერვულვზის" სუპერვარსკვლავ კევინ გარნეტს არც ერთ საგამოფენო მატჩში არ უთამაშია, მწვრთნელებმა



შედარებით გამოუცდელ კალათბურთელებს მისცეს შანსი. ისე კი, ერთ-ერთ მინესოტურ გაზეთში ამოვიკითხეთ, რომ გარნეტი ვარჯიშის შემდეგ ცქიტიშვილს თავისთან იტოვებს და კალათბურთის რაფინირებულ ილეთებში ამეცადინებსო.

**ირაკლი პერტაია**



# რუსული ნებისყოფა, ფიზიკა და ფრანგული ჭკუა

**მოსკოვი. რუსეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 975 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**იგორ ანდრეევი** (რუსეთი, 7) — **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — 5:7, 7:5 6:2

**ნიკლას კიფერი** (გერმანია, 6) — **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — 6:2 6:4

**ფინალი**

**იგორ ანდრეევი** (რუსეთი, 7) — **ნიკლას კიფერი** (გერმანია, 6) — 5:7 7:6 6:2

**გუშინ** კრემლის თასის გათამაშება ვაჟთა შორის რუსი იგორ ანდრეევის გამარჯვებით დამთავრდა. ზედიზედ მეორე წელია, რაც რუსები ამ ტურნირს იგებენ. შეგახსენებთ, რომ შარშან ნიკოლაი დავიდენკომ გაიმარჯვა, თუმცა წლეულს ტიტულის დაცვა ველარ მოახერხა.

მომავალი ტრიუმფატორი ნახევარფინალში თანამემამულე დმიტრი ტურსუნოვს დაუპირისპირდა და დიდი გაჭირვებით, სამ სეტში შეძლო მისი დამარცხება. თამაში, რომელიც 2 საათსა და 34 წუთს გაგრძელდა, საკმაოდ თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ ანდრეევმა მესამე სეტში ტემპის ოდნავი მომატებით შეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

შეიძლებოდა, ფინალი წმინდად რუსული ყოფილიყო, მაგრამ გერმანელმა კიფერმა არ გაიმეორა მანამდე ფრანგი სანტოროსა და ბრიტანელი რუსედსკის შეცდომები, ბოლომდე კონცენტრირებული შეხვდა იგორ კუნიცინთან მატჩს და კლასის ხარჯზე იოლადაც გაიმარჯვა.

ფინალი გერმანელის უპირატესობით დაიწყო, ერთი საათის შემდეგ კი ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ანდრეევი შეძლებდა ფინალის მოგებას. გერმანელმა წარმატებით დაასრულა პირველი სეტი და მეორეში 4:1 დაწინაურდა, მაგრამ რუსმა ნებისყოფა გამოიჩინა, სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და სძლია კიდეც. მესამე სეტმა ცხადყო, რომ ანდრეევი არა მარტო მორალურად, არამედ ფიზიკურადაც უკეთეს მდგომარეობაში იყო, რაც აისახა კიდეც ანგარიშზე — 6:2 და რუსი კრემლის თასის 2005 წლის გამარჯვებული გახდა.



იგორ ანდრეევი

ანდრეევისთვის ეს საკმაოდ დიდი წარმატებაა. როგორც ჩანს, სეზონის ბოლოსკენ მან ოპტიმალურ ფორმას მიაღწია.

შეგახსენებთ, რომ ორიოდე კვირის წინ რუსმა პალერმოს ATP-ის ტურნირი მოიგო, წლეულს კი ეს მისი მესამე ტიტულია.

**WTA**
**მოსკოვი. რუსეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 1 300 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**მარი პირსი** (საფრანგეთი) — **დინარა საფინა** (რუსეთი) — 7:6 6:3

**ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — 6:3 6:1

**ფინალი**

**მარი პირსი** (საფრანგეთი, 3) — **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — 6:4 6:3

**გუშინ** მოსკოვში დასრულებული კრემლის თასის გათამაშება ტურნირზე მესამე ნომრად განთესილი ფრანგის, მარი პირსის გამარჯვებით დასრულდა. მან მთელი ტურნირი თანაბრად ჩაატარა, რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და საბოლოოდ ღირსეულად დაეუფლა კრემლის თასს.

შაბათს ნახევარფინალები გაიმართა. ამ ეტაპზე პირსის მოწინააღმდეგე თინეიჯერი რუსი დინარა საფინა იყო, რომელმაც ფრანგს რეალური წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ სეტში გაუწია და ტაი-ბრეიკზე წააგო. მეორე სეტი კი პირსმა იოლად მოიგო.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ტურნირის მეოთხე ნომერი რუსი ელენა დემენტიევა და წლევანდელი კრემლის თასის მთავარი მოულოდნელობა, იტალიელი ფრანჩესკა სკიავონე დაუპირისპირდნენ. რუსს შაბათს დაბადების დღე ჰქონდა (24 წლის გახდა) და უნდოდა, ფინალში გასვლით დაესაჩუქრებინა საკუთარი თავი, თუმცა ნაწილობრივ სკიავონეს ბრწყინვალე თამაშის და ნაწილობრივ თავისივე უამრავი უნებლიე შეცდომის გამო ეს დღე ჩაშხამდა. ელენამ მართლაც უფერულად ითამაშა, განსაკუთრებით თავის მოწოდებაზე და შესაბამისად, ფინალის საგზურიც იტალიელს გადაულოცა.

ფინალი კი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთელებმა მხოლოდ ორი სეტი ითამაშეს. განსაკუთრებით დაძაბული პირველი სეტი გამოდგა. როცა პირსი 5:1 დაწინაურდა, იტალიელმა მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო, თუმცა შემდეგ რამდენიმე უაზრო შეცდომის გამო ველარ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და სეტიც ფრანგის გამარჯვებით დასრულდა. აქ კარგად გამოჩნდა პირსის საოცარი უნარი, გადამწყვეტ მომენტებში მეტოქეს თავს საკუთარი თამაში მოახვიოს. როცა სკიავონემ შეძლო თამაშის დალაგება, გრძელი გათამაშებების და უკანა ხაზიდან ძლიერი ფორჰენდების ხარჯზე მეტოქის დაბნევა, სწორედ ამ დროს პირსმა რამდენიმე ჭკვიანური კომბინაციით აიძულა იგი შეცდომები დაეშვა და ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენა. მეორე სეტში ფრანგმა აღარ გაუშვა ხელიდან უპირატესობა, მალევე გააკეთა ბრეიკი, შეძლო საკუთარი მოწოდების შენარჩუნება და მიზანსაც მიაღწია.

პირსმა კრემლის თასი უკვე მეორედ მოიგო (პირველად 1998 წელს). ეს კი ფრანგისთვის მე-18 ტიტულია კარიერაში. ამ გამარჯვებით იგი WTA-ს რეიტინგში მეოთხე ადგილამდე აღზევდა.

**კახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი. სან-ლუისი. არგენტინა

# არგენტინაში ფული და ადგილები გაიყვეს

**არგენტინაში** მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი დასრულდა. ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი ბოლოსწინა ტურში გახდა ჩემპიონი და დასკვნით ტურში დიდოსტატებმა დარჩენილი საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელეს ბრძოლა.

ყველაზე მეტი ყურადღება მეორე-მესამე ადგილებზე მყოფი ვიშვანათან ანანდისა და პეტერ სვიდლერის მატჩისკენ იყო მიპყრობილი, თუმცა მოჭადრაკეებმა ყველას იმედი გაუცრუეს, დიდი ბრძოლა არ გაუჩაღებიათ და მე-19 სვლაზე ყაიმით დაასრულეს პარტია, ამ შედეგით კი მოერეობა ანანდს ხვდა წილად, რადგან ჩემპიონატზე რუსზე მეტი შეხვედრა მოიგო და 200 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა, მესამეს, სვიდლერს, 140 ათასი ერგო.

ჩემპიონატი მოუგებლად დაასრულა ინგლისელმა მაიკლ ადამსმა, თუმცა ყაიმებით 5,5 ქულა მოაგროვა, მე-7 ადგილზე გავიდა და 60 ათასითაც გამდიდრდა. უფულოდ არც ბოლო ადგილზე გასული ჩემპიონატის ერთადერთი მანდილოსანი, უნგრელი იუდიტ პოლგარი დატოვეს და საფულეში 50 ათასი ჩაუთვალეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

XIV ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 10 ქულა |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 8,5 |
| 3 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 8,5 |
| 4 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 7 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6,5 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 5,5 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 5,5 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 4,5 |






ვესელინ ტოპალოვი ჩემპიონია, ვიშვანათან ანანდი კი მეორეობას დასჯერდა

# ტოპალოვს არაფრის არ ეშინია და კრამნიკს ელის

**„ლინარესის,** სოფიის სუპერტურნირებმა თუ სან-ლუისმა აშკარად დაგვანახა, რომ ტოპალოვი მსოფლიოში უძლიერესი მოთამაშეა" — განაცხადეს ერთობლივად ანანდმა და სვიდლერმა ჩემპიონატის ბოლოს.

ტოპალოვი მართლაც საუკეთესო იყო ჩემპიონატზე, 14 შესაძლებლობიდან 10 ქულა მოაგროვა და კონკურენტებს მთელი 1,5 ქულით აჯობა.

მსოფლიო უკვე ბულგარული ჭადრაკის გაბრწყინებაზე საუბრობს და ამის მიზეზიც აქვთ. ტოპალოვის გარდა ბულგარელებს კიდევ ორი მოქმედი ჩემპიონი ჰყავთ, ქალთა შორის ანტოანეტა სტეფანოვა და ვეტერანებში ლუბენ სპასოვი.

ასეთი წარმატების მიუხედავად, მავანი ტოპალოვს პლანეტის აბსოლუტურ ჩემპიონად არ აღიარებს და ამბობს, აბა, თუ ბიჭია, კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ რუს ვლადიმერ კრამნიკს დაეჭიდოსო. ამ და სხვა კითხვებს თვითონ ტოპალოვი პასუხობს.

**— კარიერაში ყველაზე მეტად რომელი მოჭადრაკის თამაშმა იქონია თქვენზე დიდი გავლენა?**

— ყოველთვის მომწონდა პოლ მორფი, ალექსანდრ ალიოხინი და, რა თქმა უნდა, გარი კასპაროვი. საჭადრაკო ელიტაში ბევრი ძლიერი მოჭადრაკე დავრჩით, მაგრამ კასპაროვის სტილს მხოლოდ ჩემი თამაში მაგონებს.

**— თქვენ და გარის ყოველთვის საინტერესო პარტიები გამოგდიოდათ...**

— საერთო შეხვედრებში მოგებათა ბალანსით კასპაროვი აშკარად მჯობნის, თუმცა ჩემთან ბრძოლა ყოველთვის უჭირდა.

**— წლეულს ლინარესში, სოფიასა და სან-ლუისში იმარჯვეთ. ფიქრობთ, რომ უკვე კასპაროვსაც ტოლ-სწორად შეერკინებით?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, რა ფორმაშია ახლა კასპაროვი, მაგრამ ვიცი, რომ ჭადრაკს კვლავ თამაშობს და სამწვრთნელო ჯგუფი არ დაუთხოვია. კასპაროვთან თამაში მართლაც მაინტერესებს, რადგან იგი ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკეა. იქნებ მატჩი ვერ მოვიგო, მაგრამ თანასწორი ბრძოლა ნამდვილად იქნება.

**— ყველა ლაპარაკობს თქვენი და კრამნიკის შესაძლო შეხვედრაზე. თუ მან გამოგიწვიათ, დათანხმდებით?**

— აბა, უკან რატომ უნდა დავიხიო? მსოფლიოს ჩემპიონმა თამაშით უნდა დაამტკიცოს, რომ უძლიერესია. თანაც ეს მატჩი მეც ძალიან მაინტერესებს.

NHL

## რეგულარული ჩემპიონატი



ფილადელფია — პიტსბურგი

# მეკარეს ეკრანზე ცქერა გოლად დაუჯდა

— 14 ოქტომბერი —

**ფილადელფია 6:5 პიტსბურგი**

2:1 3:2 0:2 1:0

1:0 პრიმო (4), 2:0 პიტკანენი (17), 2:1 ლეკლერი (20), 3:1 განიე (22), 4:1 განიე (25), 5:1 პეჩერი (31), 5:2 მელოუნი (33), 5:3 კროსბი (34), 5:4 ტარნსტრიომი (46), 5:5 ტელბოტი (52), 6:5 რატიე (64)

**პირველი** გოლი თავის კარიერაში მაქსიმ ტელბოტმა მოედნის ცენტრიდან გაიტანა, რისთვისაც „ფილადელფიის" მეკარე ანტერო ნიიტიმიაკის უნდა ემადლიერებოდეს. ფინელი გოლკიპერი, მისივე თქმით, ამ მომენტში წინა ეპიზოდის განმეორებას უყურებდა შუქფარზე და... მაშინღა მოეგო გონს, შაიბა საკუთარ კარში რომ დაინახა.

**ანაჰაიმი 4:3 კოლუმბუსი**

0:0 2:1 2:2

1:0 მუნი (28), 2:0 ლუპული (36), 2:1 ჰრდინა (38), 2:2 ბერარდი (44), 3:2 ლუპული (48), 3:3 ჰრდინა (56), 4:3 კარნი (58)

**კოლორადო 2:3 ჩიკაგო**

0:0 1:1 1:1 0:0 0:1 ბულ. სერიაში

1:0 საკიკი (29), 1:1 შპაჩეკი (37), 1:2 კოლდერი (54), 2:2 ლაილსი (58), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: რუუტუ

**ედმონტონი 2:3 დალასი**

0:1 1:1 1:1

0:1 ი. იოკინენი (6), 0:2 გერინი (21), 1:2 ჯ. სმიტი (37), 2:2 რიტა (43), 2:3 ოტი (52)

**მინესოტა 3:5 ვანკუვერი**

0:1 3:2 0:2

0:1 კარტერი (5), 1:1 უოლცი (24), 2:1 ბუშარი (29), 2:2 ნესლუნდი (35), 2:3 კესლერი (38), 3:3 როლსტონი (40), 3:4 პარკი (42), 3:5 ბერტუცი (60)

**ტოდ** ბერტუციმ თავისი პირველი გოლი დისკვალიფიკაციის დასრულების შემდეგ ცარიელ კარში გაიტანა.

**ატლანტა 1:9 ტორონტო**

0:1 0:3 0:5

0:1 ონილი (9), 0:2 ონილი (24), 0:3 ელისონი (32), 0:4 ტაკერი (38), 0:5 ვედვუდი (42), 0:6 ლინდროსი (45), 1:6 სავარი (46), 1:7 სტინი (52), 1:8 ონილი (53), 1:9 პონიკაროვსკი (59)

— 15 ოქტომბერი —

**ფილადელფია 5:1 აილენდერსი**

4:1 1:0 0:0

1:0 ჰანდზუში (3), 1:1 იორკი (5), 2:1 შარპი (12), 3:1 იუნსონი (14), 4:1 ჰანდზუში (17), 5:1 განიე (32)

**რეინჯერსი 5:1 ატლანტა**

1:0 2:0 1:1

1:0 რუჩინსკი (11), 2:0 ორტმაიერი (33), 3:0 რუჩინი (34), 4:0 ნიულანდერი (37), 4:1 კოვალჩუკი (50), 5:1 ნიემინენი (53)

**მონრეალი 2:3 ტორონტო**

1:1 0:1 1:1

1:0 კოვალიოვი (9), 1:1 ელისონი (16), 1:2 ლინდროსი (28), 2:2 პლეკანეცი (46), 2:3 ლინდროსი (53)

**ოტავა 5:1 ბოსტონი**

2:0 2:0 1:1

1:0 ნილი (12), 2:0 ვერმეტი (16), 3:0 ბოჩენსკი (32), 4:0 ვოლჩენკოვი (33), 5:0 სმოლინსკი (43) 5:1 ლიში (43)

**დომინიკ** ჰაშეკმა კარიერაში 300-ე მოგება იზეიმა.

**ნიუ ჯერსი 1:6 კაროლინა**

0:3 1:2 0:1

0:1 ვრბატა (6), 0:2 კოული (17), 0:3 კალენი (17), 1:3 განდოლფო (27), 1:4 ბრინდამორი (35), 1:5 ვაშიჩეკი (39), 1:6 ბრინდამორი (51)

**ფლორიდა 3:2 ბუფალო**

0:1 2:0 1:1

0:1 ბრიარი (14), 1:1 ჰორტონი (28), 2:1 ჟელინა (33), 2:2 ბრიარი (45), 3:2 ო. იოკინენი (59)

**პიტსბურგი 1:3 ტამპა**

0:1 0:2 1:0

0:1 პროსპალი (13), 0:2 ფედოტენკო (26), 0:3 ლეკავალიე (40), 1:3 პალფო (42)

**ესეც** პირველი კრიტიკა სიდნი კროსბის მისამართით. მიუხედავად მორიგი ქულიანი თამაშისა (კროსბი უკლებლივ ყველა მატჩში გამოირჩევა ან გოლით ან პასით), სწორედ 18 წლის ვუნდერკინდის თავშეკავებულობა გახდა „პიტსბურგის" მორიგი მარცხის მიზეზი. წესების დარღვევისა და მსაჯთან შეკამათების გამო სიდნიმ 4-წუთიანი ჯარიმა მიიღო და „ტამპამ" ამ მომენტში გადამწყვეტი, მეორე გოლი გაიტანა. „მე მხოლოდ ვცდილობდი ამეხსნა რეფერისთვის, რომ ეს ქმედება, რომელიც თამაშის დროს მჟღავნდება ხოლმე და... ჩვენ ერთი-ორი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს" — თქვა ნამატჩევს კროსბიმ.

**სენტ ლუისი 1:4 ნეშვილი**

0:1 1:2 0:1

0:1 სალივანი (7), 1:1 მაიერსი (26), 1:2 ლეგვანდი (33), 1:3 პარტნელი (40), 1:4 ჯონსონი (59)

**კალგარი 3:0 ედმონტონი**

2:0 0:0 1:0

1:0 ლენგკოუ (10), 2:0 იგინლა (16), 3:0 უორინერი (59)

**ფინიქსი 0:2 დეტროიტი**

0:0 0:1 0:1

0:1 ზეტერბერგი (23), 0:2 დაციუკი (55)

**სან ხოსე 4:3 ჩიკაგო**

2:1 2:2 0:0

1:0 შტურმი (3), 2:0 ჩიჩუ (11), 2:1 მორგანი (17), 2:2 ბარნაბი (24), 3:2 მარლო (28), 4:2 მარლო (31), 4:3 ელისონი (39)

**სამველ ლარიბიანი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცხრამეტე ეტაპი

# რენოს მეცამეტე უბედნიერესი

## ექვსწლიანი შუმი-კელო დასრულდა





ფერნანდო ალონსომ და ფლავიო ბრიატორემ აბსოლუტური ჩემპიონობა იზეიმეს, მიხაელ შუმახერმა კი ფინიშამდე ვერ მიაღწია

„სამეფო რბოლების“ ზემარათონული, 19 დიდპრიზიანი ჩემპიონატი დასრულდა ისე, როგორც რვა თვის წინ დაიწყო — „რენოს“ აბსოლუტური უპირატესობით.

ფრანგული ავტოვეშაპისთვის მეცამეტე საპირველფორმულო სეზონი უბედნიერესი გახდა მიუხედავად იმისა, რომ მძღოლები ამ დათარსულ რიცხვს უფრთხიან (13-ნომრიან მანქანას ვერსად ნახავთ). აქამდე რენოელთა საუკეთესო შედეგი იყო 22 წლის წინანდელი მეორე ადგილები პირად (ალენ პროსტი) და გუნდურ ჩათვლაში.

გუშინ რენოელთა იტალიელმა ბოსმა ფლავიო ბრიატორემ და პილოტთა ესპანურ-იტალიურმა ტანდემმა ფერნანდო ალონსოსა და ჯანკარლო ფიზიკელას შემადგენლობით კონსტრუქტორთა თასზე პირველობაც იზეიმეს და ფანტასტიკური წელი აბსოლუტური გამარჯვებით ჩაამთავრეს.

ორი ეტაპის წინ ტიტულგანაღდებულმა 24 წლის ნანდომ შანხაიში მოგებით ისე გაიხარა, თითქოს ეს მისთვის პირველი, ანდა გადამწყვეტი დიდი პრიზი ყოფილიყოს. „ფლავომ“ მამაშვილურად გულში ჩაიკრა, მერე ჩემპიონთან ერთად პოდიუმზე შამპანურით იწუწავა და ვეება ჩინური თასიდან ორივემ ცოტა მოყლუპა კიდეც.

ერთ სეზონში ორივე, პილოტგუნდური პირველობის მოპოვება არც თუ იოლი ამბავია და „რენო“ გახდა მეოთხე დღევანდელი სუპერგიგანტების — ფერარის, მაკლარენისა და უილიამსის შემდეგ, რომელმაც ეს შეძლო.

ჩინური ეტაპის წინ „მაკლარენ-მერსედესი“ მიზერული ორი ქულით ჩამორჩებოდა „რენოს“ და კონსტრუქტორთა. თასის დასაკუთრების დიდი იმედიც ჰქონდა. მაგრამ შაბათის საკვალიფიკაციო გაჯიბრებამ კიმი რაიკონენს და ხუან-პაბლო მონტოიას ამბიცია გაუნელა, რადგან პირველ-მეორე სასტარტო პოზიციები ნანდომ და ფიზიკომ დაიკავეს.

კვალიფიკაცია წინა, იაპონურ ეტაპზე ავარიისთვის დასჯილმა ტაკუმა სატომ გახსნა.

შეგახსენებთ, „სუძუკას“ ავტოდრომზე რბოლის მეათე წრეზე იგი უაზროდ და უმიზეზოდ დაეჯახა იარნო ტრულის და ბრძოლას გამოთიშა. სტიუარდებმა ამ ინციდენტისთვის „კამიკაძე“ ტაკუს სამშობლოში ნაჩვენები მე-13 შედეგი გაუუქმეს და საერთოდ უადგილოდ დატოვეს.

ლამის საპოულე ცდის ბოლომდე საუკეთესი იყო სატოს მერე გასულ მონტოიას დრო, მაგრამ დასკვნითმა სამეულმა ისე „იფრინა“, კოლუმბიელს მხოლოდ მესამე რიგიდან მოუწია რბოლის დაწყება. უნაკლო და უსწრაფესი იყო ალონსო, რომელმაც მართლაც ჩემპიონის საკადრისად შემოუქროლა ხუთნახევარ კილომეტრიან ტრეკს, მისხალი ხარვეზის გარეშე და ოთხი მეათედი წამით აჯობა მეორე შედეგიან თანაგუნდელს.

სტარტზე რენოელების უკან განლაგდნენ ბუქმეიკერების მიერ ფავორიტად გამოცხადებული რაიკონენი და ჩემპიონატის მეორე ნახევარში გამოღვიძებული ჯენსონ ბატონი. მონტოიას გვერდით მიხაელ შუმახერი უნდა მდგარიყო, მაგრამ რბოლის დაწყების წინ, როცა ბოლიდები სტარტისკენ ნელი სვლით მიდიოდნენ, გერმანელის „ფერარი“ მოულოდნელად და მეტად უცნაურად კრისტიან ალბერსის „მინარდის“ ისე შეეჯახა, რომ მანქანა შესაცვლელი შეიქნა. ბუნებრივია, შუმის პიტლაინიდან, ყველაზე უკან მოუხდა ბრძოლაში ჩართვა.

„რენოს“ ბიჭებმა მეწინავეობა ადვილად შეინარჩუნეს, მონტოიამ კი დასაწყისშივე გვერდი აუარა ბატონს და რაიკონენს კვალში ჩაუდგა. დაფეთებული ალონსო ყოველ წრეზე თითქმის წამით ზრდიდა მდევრებთან სხვაობას — დისტანციის მესამედის გავლის მერე მისმა უპირატესობამ უკვე 17 წამს მიაღწია

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო — „რენო“ გუნდურ თასს ინაღდებდა, ხოლო მონტოია საერთო მესამე ადგილს. მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ტრასაზე „სეიფტი კარი“ და ვითარებაც აირია. უსაფრთხოების „მერსედესის“ გამოშვების მიზეზი გახდა ერთ-ერთ მოსახვევში გზისპირა სადრენაჟო ფილის ამოვარდნა, რამაც ავარიის საშიშროება წარმოშვა. ხუანის „მაკს“ ფილაზე გადავლისას წინა მარჯვენა შეკიდულობა დაუზიანდა. კოლუმბიელმა მაშინვე მიაკითხა ბოქსებს და თითქოს უშველეს, მაგრამ ათიოდ წუთში მაინც შეწყვიტა რბოლა.

ფინიშამდე ვერც მიხაელმა მიაღწია — მოსახვევში ბოლიდი მოუსრიალდა და გზას გადაცდენილი, მოხრეშილ „დამჭერ“ ზონაში უსიცოცხლოდ გაშეშდა. დიდი გერმანელი მონტოიას გამოთიშვის წყალობით საბოლოოდ მესამე პრიზიორი კი გახდა, თუმც ეს სეზონი მის ფანტასტიკურ საფერარე ათწლეულში მაინც ყველაზე კოშმარულია შედეგიანობით.

პეისკარი მეორედაც გამოცხადდა ტრეკზე ნარაინ კარტიკეიანის „ჯორდანის“ დამცავ ბარიერზე საშინელი ძალით მილეწვის შემდეგ. ისევ კარგა ხნით შეფერხდა რბოლა და საბოლოოდ დაკარგა ინტრიგაც.

ალონსოს მესამედ მოუხდა კიმი რაიკონენისგან „გაქცევა“, რათა ისევ შეექმნა კომფორტული უპირატესობა. რაიკონენი საბოქსე მანიპულაციების უფრო სწრაფად შესრულებით ტრასაზე ფიზიკელას წინ დაბრუნდა და ბოლომდე შეინარჩუნა მეორე პოზიცია. ფიზიკომ კი პრაქტიკულად განაღდებული მესამე საპოდიუმო საფეხურიც დაკარგა — ბოქსებში შევლისას რაიკონენის შეფერხების გამო იგი პიტლაინზე ნელა სვლით დასაჯეს, რის შედეგადაც მესამე ადგილზე რალფ შუმახერი აღმოჩნდა.

გუშინდელი ეტაპი რუბენს ბარიკელოსთვის „ფერარიში“ ბოლო იყო. იგი 2000 წლიდან უჯდა წითელი ბოლიდის საჭეს და ამ ხნის განმავლობაში ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა და ცხრა დიდი პრიზიც დაისაკუთრა. შუმიმ და რუბინიომ ხუთჯერ ზედიზედ მოიგეს სკუდერიისთვის კონსტრუქტორთა თასი. „სამეფო რბოლებში“ ექვსი წელი ერთად ჯირითი სარეკორდო ხანგრძლივობაა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და შუმი-კელოს შეხმატკბილებული დუეტიც დაიშალა. ბარიკელო მომავალი წლიდან BAR-ჰონდას ღირსებას დაიცავს, მიხაელს კი მეწყვილედ მეორე ბრაზილიელი ფელიპე მასა ეყოლება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ჩინეთის დიდი პრიზი**
**16 ოქტომბერი. შანხაი**
დისტანცია 56 წრე — 305,256კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ალონსო (რენო) | 139.53,618 (183,2 კმ/სთ) |
| 2. | (3) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 4,0 |
| 3. | (9) | რ. შუმახერი (ტოიოტა) | 25,4 |
| 4. | (2) | ფიზიკელა (რენო) | 26,1 |
| 5. | (14) | კლიენი (რედ ბული) | 31,8 |
| 6. | (11) | მასა (ზაუბერი) | 36,4 |
| 7. | (10) | უებერი (უილიამსი) | 36,8 |
| 8. | (4) | ბატონი (B.A.R) | 41,2 |
| 9. | (7) | კულტჰარდი (რედ ბული) | 44,2 |
| 10. | (16) | ვილნევი (ზაუბერი) | 59,9 |
| 11. | (19) | მონტეირო (ჯორდანი) | 1.24,6 |
| 12. | (8) | ბარიკელო (ფერარი) | 1.32,8 |
| 13. | (13) | პიცონია (უილიამსი) | 1 წრით |
| 14. | (20) | დორნბოსი (მინარდი) | 1 წრით |
| 15. | (12) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 16. | (18) | ალბერსი (მინარდი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (17) | სატო (B.A.R) | გაიარა 34 წრე |
| (15) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 28 |
| (5) | მონტოია (მაკლარენი) | 24 |
| (6) | მ. შუმახერი (ფერარი) | 22 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო — 1.34,080 (208,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი — 1.33,242 (210,5 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან-მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დიდი ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანეთი 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | 10 | 133 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | 10 | 5 | 10 | 8 | 10 | 8 | 112 |
| 3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | – | – | – | 5 | 2 | – | 62 |
| 4 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | 6 | 10 | – | 10 | – | – | 60 |
| 5 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | 5 | 6 | – | 4 | 8 | 5 | 58 |
| 6 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | – | 3 | 2 | 1 | 1 | 6 | 45 |
| 7 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | 3 | 4 | – | – | – | – | 43 |
| 8 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | – | – | 4 | 3 | – | – | 38 |
| 9 ბატონი BAR, ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 | 4 | 6 | 4 | 4 | 1 | 6 | 2 | 4 | 1 | 37 |
| 10 უებერი უილიამსი, ავსტრალია | 4 | – | 3 | 2 | 3 | 6 | – | 4 | – | – | – | – | 2 | – | – | 5 | – | 5 | 2 | 36 |
| ჰაიდფელდი — 28, კულტჰარდი — 24, მასა — 11, კლიენი, ვილნევი — 9, მონტეირო — 7, ვურცი — 6, კარტიკეიანი — 5, დე ლა როსა, ალბერსი — 4, ფრიზახერი — 3, პიცონია — 2, ლიუცი, სატო — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | 13 | 14 | 8 | 10 | 14 | 15 | 191 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | 16 | 15 | 10 | 18 | 10 | 8 | 182 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | – | – | 4 | 8 | 2 | – | 100 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 6 | 88 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | – | 2 | 5 | – | 5 | 2 | 66 |
| BAR — 38, რედ ბული — 34, ზაუბერი — 20, ჯორდანი — 12, მინარდი — 7 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# გამძლეთა ერთობა

ჰავაის წყლებში გახურდა გამძლე კაცების მსოფლიოს ჩემპიონატი, სხვანაირად „ფორდის რკინის კაცების პირველობა". ჩადექ წყალში და ივარჯე. შეჯიბრში ბარე 1 800 კაცი მონაწილეობს.




# ვარსკვლავები კრივზე

ორი დიდი მსახიობი, ჯეიმს კაანი და სილვესტერ სტალონე კრივზე გადაეყრიან ერთმანეთს. ლოს ანჯელესში სერხიო მორა და პიტერ მანფრედო ჩხუბობდნენ. სლაი, ვითარცა ძველი „როკის" შემსრულებელი, კრივის ტრფიალია. კაანს მოკრივე არასოდეს უთამაშია, მაგრამ ფილმ „როლერბოლში" მომავლის უხეში სორტის ვარსკვლავი კი განასახიერა.





# ემანდ, რამეო...

ერთ სენტ ლუისელ მომქნევს თავისი კეტი ისე მოურტყია ბურთისთვის, რომ ხელიდან გავარდნია და გვარიანი ძალით გაფრენილა. მეტოქეთა პიჩერს, ჰიუსტონელ ჩად ქუალსს კამარა შეუკრავს, ემანდ არ დავზიანდეო. ეს ნაციონალური, ლიგის ფინალური სერიის თამაშში მომხდარა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ისაიაძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ხოსო კოტორეიშვილი, ლევან ხომერიკი, ვაჟა ხუჯაძე

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თამარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეინაბ მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge